# სარბიელი

სპორტული გაზეთი  შაბათი 19 თებერვალი 2005 №36 (2359)  ფასი 50 თეთრი




## გენიოსი, მაგრამ ნამდვილი კაცი

ომარ სიჭორი გარდაიცვალა

5



## მილანს და მანჩესტერს არავინ სჯობს

ინტერვიუ ჯო ჯორდანთან

7




## დღეს და ხვალ დენვერში ოლ სტარია

14

# ეროვნულები, ნულები, ნულები...

## უგოლობის შემთხვევაში დარეკეთ 0000000011



# ახალგაზრდების ახალი შეფი

## ნუგზარ კანდელაკი სამშობლოს ბაქოდან დაუბრუნდა

ეროვნულ გუნდს მწვრთნელი ჯერ არ ჰყავს, სამაგიეროდ, ახალი თავკაცი ჰყავს ახალგაზრდულ ნაკრებს და საქართველოს კალათბურთის ფედერაციას მის საძებნად შორს წასვლა არ დასჭირვებია — აქვე, ბაქოდან ჩამოიყვანა შარშან ზაფხულს „ბასკოს" გამჩემპიონებელი, მერე კი სამუშაოდ მეზობელ ქვეყანაში წასული ნუგზარ კანდელაკი.

„ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატთა შერჩევისას მთავარი კრიტერიუმი მოთამაშეთა დისციპლინა და პირადი თვისებები იქნება — ამბობს კანდელაკი, რომელიც, ალბათ დიდი ნაკრების მომავალი, უცხოელი თავკაცის თანაშემწეც გახდება, — ახალგაზრდული გუნდის მთავარი ამოცანა ეროვნული გუნდისთვის კადრების მომზადებაა. თამაშის და თავის გამოჩენის შანსს ყველას მივცემ."



# დავით კვირკველია: რაც მაგრები ვართ...



**ესპანურ** მარბელაში მყოფი ვლადიკავკაზის „ალანიას“ ხუთი ქართველიდან სამი ახალწვეული უკვე სერიოზულად შეუდგა საქმეს. ლევან გვაზავა და ვიტალი დარასელია ერთი წელია, „ალანიაში“ არიან, დავით კვირკველიამ, ლადო ბურდულმა და ჯაბა კანკავამ კი ახლახან მოირგეს ვლადიკავკაზელთა მაისური. ბურდულმა მარბელაში გოლის გატანაც მოასწრო, კანკავამ გუშინ საგოლე პასი გააკეთა, კვირკველია კი, როგორც თავად ოსები ამბობენ, ალანიელთაგან ორივე მატჩში გამორჩეული ყოფილა.

— თავის ქებას ვერ დავიწყებ, თუმცა ვფიქრობ, ნორმალურ ფორმაში ვარ და ამხანაგურ მატჩებშიც კარგად ვითამაშე. რუსეთის ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი თვეა და კიდევ მოვუმატებ, ყოველ შემთხვევაში, რასაც ახლა ვთამაშობ, ჩემი მაქსიმუმი არაა — გვითხრა დავით კვირკველიამ, როცა მარბელაში დავუკავშირდით.

— „ალანიაშიც“ მარცხენა ნახევარმცველად თამაშობ?

— თვლევს სხვა პოზიციაზე ჯერ არ გავუსინჯივარ, თუმცა რამდენჯერმე კი მითხრა, ცენტრ ნახევარდაცვის შუაშიც დამჭირდებიო, ჭახოო, სადაც გუნდს გამოვადგები, იქ ვითამაშებ.

— „ალანია“ ისეთი გუნდია, როგორსაც ელოდი?

— ყოველ შემთხვევაში, ძლიერი შემადგენლობაა და როცა შევთამაშდებით, კარგი გუნდი იქნება. „ალანიას“ პერსპექტივა აქვს და ცოტაც თუ გაგვიმართლა, ევრო ვეროსაგზურებისთვისაც ვიბრძოლებთ.

— ვიდრე „ალანიაში“ გადახვიდოდი, მოსკოვის „სპარტაკი“, „რუბინი“ და „კრილია სოვეტოვი“ გეპატიჟებოდნენ. მაინცდამაინც „ალანია“ რატომ არჩიე, ოსებზე ნაკლებ პირობებს ხომ არც ეს გუნდები გთავაზობდნენ.

— ყველა გუნდიდან მართლაც თითქმის ერთნაირი წინადადებები მქონდა და როცა არჩევანზე მიდგა საქმე, ვლადიკავკაზის თბილისთან სიახლოვე გავითვალისწინე. ვერც იმას ვიტყვი, რომ „სპარტაკი“, „რუბინი“ თუ „კრილია“ „ალანიაზე“ საგრძნობლად ძლიერი გუნდები არიან და ოსეთში წასვლით ჩემს კარიერას ვავნე. თანაც აქ ხუთი ქართველი ვართ და აშკარად ვგრძნობთ ჩვენდამი პატივისცემას.

— ფეხბურთელებს უკვე დაუმეგობრდი?

— ყველა გავიცანი, არ მეგონა, „ალანია“ ასეთი მეგობრული გუნდი თუ იქნებოდა. ისე კი, რა თქმა უნდა, ვარჯიშებისგან თავისუფალ დროს ქართველები ერთად ვართ.

— დარასელია ტრავმირებული ყოფილა...

— გერმანიაში ფეხს მკურნალობს და შემდეგ შეკრებაზე შემოგვიერთდება. მარბელაში კიდევ ორ დღეს დავრჩებით, მერე კი სოჭში მივდივართ.

— როგორ ატყობ, ძირითად შემადგენლობაში ხუთივე ქართველი იქნებით?

— ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელი ჩვენით კმაყოფილია. გუნდი ბოლომდე ჯერაც არ დაკომპლექტებულა, მაგრამ რასაც ახლა ვხედავ, ძირითადში მოხვედრა ქართველებს არ უნდა გაგვიჭირდეს.

**კობა ინასარიძე**

## ინგლისი

ჩემპიონატი. XXXV ტური

პრესტონი 1:1 იფსვიჩი

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XXII ტური

ტრირი 2:0 ალენი

კარლსრუე 1:1 დინამო

კოტბუსი 0:0 ესენი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXI ტური

ზანკტ პაული 2:0 კიოლნი (მ)

სამხრეთ რეგიონალლიგა XX ტური

ელვერსბერგი 2:0 კობლენცი

ზიგენი — აალენი *გადაიდო*

## საფრანგეთი

I დივიზიონი. XXVI ტური

მონაკო 1:1 ლიონი

II დივიზიონი. XXVI ტური

ტრუა 1:1 ნიორი

სედანი 2:0 რეიმსი

ლავალი 0:1 ლე ავრი

დიჟონი 2:1 ამიენი

მონპელიე 1:0 კლერმონი

შატორუ 2:2 კრეტეი

გრენობლი 2:1 გენიონი

ანჟე 1:0 გენგამი

## ბელგია

იუპილერლიგა. [illegible] ტური

ლიერსი 1:1 ანდერლეხტი

## ჰოლანდია

I დივიზიონი. XXII ტური

როზენდალი 2:0 ტილბურგი

II დივიზიონი. XXII ტური

ჰელმონდი 7:1 აპელდორნი

ექსელსიორი 1:2 ვეენდამი

ჰერაკლესი 4:1 დორდრეხტი

ვოლენდამი 3:1 ეინდჰოვენი

ოსი 0:0 ზვოლე

იგლსი 1:1 სიტარდი

კამბური 2:0 მაასტრიხტი

ემენი 0:5 სპარტა

ჰაარლემი 0:2 ვენლო

## პორტუგალია

სუპერლიგა. XXIII ტური

ნასიონალი 1:0 ბრაგა

ბელენენსეში 0:1 პორტუ

## თურქეთი

სუპერლიგა. XXI ტური

გაზიანთეფი 0:1 ბეშიქთაში

## იტალია

სერია B. XXVII ტური

მოდენა 0:0 პესკარა

თბილისის ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ეროვნული კატეგორიის მსაჯის

დავით გაგნიძის

გარდაცვალების გამო

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს უმაღლესი ლიგა მეორე ეტაპი — 16 ჩემპიონატი — 19 ტური

ქუთაისი. 18 თებერვალი. 14 საათი. ტორპედო. 2 000 (ტევადობა 20 000)

## ტორპედო 0:0 ლოკომოტივი

| | |
|---|---|
| ტორპედო: მერლანი, ახალაია, მემარნიშვილი, ლ. მერებაშვილი, გამეზარდაშვილი, ბოლქვაძე, კოშკაძე, ნერგაძე, სოსელია, მეგრელაძე, რ. ჯიქია. სათადარიგონი: რევიშვილი, ებრალიძე, წუწუნავა, რაქვიაშვილი, ბარბაქაძე, ჯანჯალია. მწვრთნელი: ოთარ გაბელია | ლოკომოტივი: გვარამაძე, ქქონია, მახვილაძე, გ. ონიანი, სანიკიძე, გიგაური (ჟუანი 66), რ. ონიანი, მანჩხავა, გოგობერიშვილი, ბობოხიძე (ქებაძე 88), სირბილაძე. სათადარიგონი: სტურუა, კირვალიძე, ხეთურიძე, ფოფხაძე, ალავერდაშვილი. მწვრთნელი: ნოდარ აკობია |

გაფრთხილება: მერლანი (43), ბოლქვაძე (77), სანიკიძე (87)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე (ორივე სამტრედია); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე



მირზა მერლანი ქუთაისელთაგან საუკეთესო იყო

# უწყლო ქუთაისს მერლანი სწყალობს

**დავით თავართქილაძე** ქუთაისიდან

**რომ** არა მირზა მერლანი, „ლოკომოტივი“ ქუთაისიდან ალბათ სამ ქულას წაიღებდა — „ტორპედოს“ გუშინ, რაც ნაღდი საგოლე მომენტი ჰქვია, ერთიც არ შეუქმნია, ხოლო მერლანმა ორჯერ იხსნა „ტორპედო“.

მომენტი პირველი: მიხეილ ბობოხიძემ მარცხნიდან გაგზავნა ბურთი „ტორპედოს“ კარის წინ, დასწრებაზე ირაკლი სირბილაძე კი გამოირჩა, მაგრამ მის დარტყმულს მერლანის ფანტასტიკური რეაქცია მოჰყვა.

მომენტი მეორე: ალეკო გოგობერიშვილმა და ბობოხიძემ „ტორპედოს“ საჯარიმოს მისადგომებიდან დაიწყეს კედლის გათამაშება, რასაც უკვე საჯარიმოში შეჭრილი ბობოხიძის დარტყმა მოჰყვა და კვლავ მერლანმა იყოჩაღა.

ერთი-ორჯერ „ტორპედოც“ გაიქაჩა მეტოქეზე, მისი ყველა ხეირიანი შეტევის სული და გული გია მეგრელაძე გახლდათ, რომელმაც არცთუ ახლოდან თავურით ვერ გაასწორა მიზანი. ყველა ზემორე ამბავი პირველ ტაიმში მოხდა. „ლოკომოტივი“ „ტორპედოზე“ უკეთ გამოიყურებოდა, დიდ უპირატესობას არ ფლობდა, მაგრამ უფრო კარგად და მეტ ხანს აგორებდა ბურთს, თუმცა საგოლე დენთი და აფეთქება არ აღმოაჩნდა.

შესვენების შემდეგ „ტორპედოს“ გამოფხიზლება იყო მოსალოდნელი, მაგრამ ქუთაისში რამდენიმე დღეა, უწყლობაა და ტორპედოელებმაც სახეზე ცივი წყლის შესხმა ვინძლო ამიტომაც ვერ მოახერხეს — „ტორპედოს“ შარშანდელი ნიათი გამქრალიყო.

ამის შემხედვარე ნოდარ აკობიამ საყრდენი ნახევარმცველი დავით გიგაური ბრაზილიელი ჟუანით შეცვალა, სამი თავდამსხმელით გააგრძელა თამაში — ჟუანი, ბობოხიძე და სირბილაძე. აი, ამან ცოტა კი გამოაცოცხლა ქუთაისელები, მაგრამ მხოლოდ გულშემატკივრები — ჩია ბრაზილიელის დანახვაზე ტრიბუნებს ქუთაისურ-სალაღობო ფრაზები მოსწყდა.

„ლოკომოტივი“ ბურთის ფლობის მხრივ კვლავ აღემატებოდა „ტორპედოს“, ორი-სამი მწვავე შეტევაც მიიტანა მერლინის კარზე, მაგრამ ისეთივე საგოლე მომენტები არ ჰქონია, როგორიც პირველ ტაიმში.

„ტორპედოს“, რომლის თავკაცმა ოთარ გაბელიამ ერთი შეცვლაც არ მოიხმარა, მატჩის მიწურულს მოემატა ფხა — არცთუ ურიგო შანსი მიეცა რეზო ჯიქიას, მაგრამ 12-13 მეტრიდან ხეირიანად ვერ დაარტყა.

საშუასეზონო შესვენების შემდეგ ეს პირველი მატჩი იყო და სალაპარაკოც ბევრი არაფერია — გუნდების თეთრი და შავი მერე და მერე უფრო გამოჩნდება.

*ნოდარ აკობია:* კმაყოფილი ვარ. ქუთაისში მინიმუმ ქულას ვგეგმავდით, რასაც მივაღწიეთ კიდეც. ზონური დაცვა და სწრაფი შეტევა — ასეთი იყო ჩვენი სტრატეგია და ფეხბურთელებმა დავალება ნაწილობრივ შეასრულეს, მესამე ფორვარდი კი იმიტომ შევიყვანე მინდორზე, რომ მეტოქეს დაბნეულობა შევნიშნე და ამის გამოყენება გვინდოდა.

*ოთარ გაბელია:* პირველი ეტაპის შემდეგ „ტორპედო“ ცხრა ფეხბურთელმა დატოვა, ხოლო „ლოკომოტივიდან“ ბევრნი არ წასულან. ფრე ლოგიკური შედეგია, საგოლე მომენტების მხრივ კი მეტოქემ გვაჯობა. „ლოკომოტივის“ ფორვარდმა სირბილაძემ საჰაერო ორთაბრძოლების 80 პროცენტში იმარჯვა.

— ჩვენ შეთამაშება გვჭირდება, საჩემპიონო გუნდი ჯერ არ ვართ. მომდევნო ტურში ძალიან რთული მატჩი გველის „ზესტაფონთან“, მაგრამ აუცილებლად უნდა მოვიგოთ.



„ტორპედო“ და მისი ქომაგები პენალტს ითხოვდნენ, ლევან სანიკიძემ ხელით ითამაშაო

## საქართველოს უმაღლესი ლიგა · ჩემპიონატი მეორე ეტაპი · 16 ლიგა · 19 ტური

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

თბილისი. 18 თებერვალი. 14 საათი. ეროვნული. 400 (ტევადობა 70 900)

### დინამო 1:0 სიონი

1:0 მელქაძე (74)

**დინამო:** მამალაძე, რომერო, სალუქვაძე, ლ. ჭელიძე (ორბელაძე 62), შაშიაშვილი (დ. ოდიკაძე 46), ბაბუნაშვილი (მელქაძე 69), ნემსაძე, კანდელაკი, ჯამარაული, კაკალაძე, დგალი
სათადარიგონი: ზოიძე, ლ. ნოზაძე, კაშია, გ. ნუგ. ჭელიძე
**მწვრთნელი:** გია გეგუჩაძე

**სიონი:** ბობღიაშვილი, თ. უგრეხელიძე, სიდამონიძე, ოქრომირიძე, ბ. შელია, გრ. დოლიძე, ბაჯელიძე (ჩაჩუა 65), ავალიანი, ლ. ჩხაიძე (გ. უგრეხელიძე 85), ალავიძე, ჩაგელიშვილი (გიორგი შენგელია 46)
სათადარიგონი: ასლანაძე, ექიზაშვილი, მიქელაძე
**მწვრთნელი:** გიგლა იმნაძე

**გაფრთხილება:** რომერო (39), ჩხაიძე (46), ოქრომირიძე (49)

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); ა. ნონიკაშვილი, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი); ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო



„დინამოს" კინკილა გოლი მინდია ბობღიაშვილის კარში

გურამ ცოცხალაშვილის ფოტო



„სიონთან" მატჩში „დინამოს" ახალწვეულმა ბრაზილიელმა მწვრთნელ-ფეხბურთელებმაც უქომაგეს

გურამ ცოცხალაშვილის ფოტო

# გეგუჩაძემ გოლი შეუშვა

სოსო კოტორეიშვილი

**74-Ე ᲬᲣᲗᲐᲛᲓᲔ** „სიონი" გვარიან წინააღმდეგობას უწევდა კარგად გამოზამთრებულ მასპინძლებს, თბილისელთა შეტევებს რიგიანად უმკლავდებოდა, კონტრშეტევებსაც ახერხებდა და 66-ე წუთზე შეცვლაზე შესულ გიორგი შენგელიას რომ ევარგა, რომელმაც იდეალური პოზიციიდან მამალაძის კარს მცირედით ააცილა, ბოლნისელები დაწინაურდებოდნენ კიდეც.

74-ე წუთზე კი „დინამომ" გაიტანა. ხუთიოდ წუთის შესული იყო ლევან მელქაძე მოედანზე, ნაკუთხურალი ბურთი სტუმართა საჯარიმოდან ორიოდ მეტრში რომ მიუვიდა და ცაციათი კარისკენ შეაბრუნა, აქამდე კარგად მოთამაშე ბოლნისელთა მეკარე მინდია ბობღიაშვილიც ვერაფერს გახდა — მელქაძის დარტყმული ბურთი მცველს მოხვდა და კარში ჩაეშვა.

მელქაძის ამ კინკილა გოლით მოუგო ჩემპიონატის ერთ-ერთმა ლიდერმა ერთ-ერთ აუტსაიდერს, მარაგი სამი ქულით კი შეივსო, მაგრამ ის თამაში ვერ აჩვენა, ჩემპიონობისთვის და ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრისთვის მეოცნებე გუნდს რომ ეკადრება. თუმც სულაც არ გვსურს, ზედმეტად მკაცრნი ვიყოთ, კარგად ვიცით, რომ ახალი ფეხბურთელებით მოლონიერებულ „დინამოს" შესათამაშებლად დრო სჭირდება და არც ის გვავიწყდება, ზამთრის ხანგრძლივი შესვენების შემდეგ თბილისელები ოდენ მეორე ოფიციალურ მატჩს რომ თამაშობდნენ.

„დინამოს" საჩემპიონატო შემადგენლობაში გუშინ პირველად ითამაშეს შოთა ბაბუნაშვილმა, ლაშა ჭელიძემ, სერგო ორბელაძემ და დავით ოდიკაძემ, გვარიანი განშორების შემდეგ „დინამოს" 10-ნომრიანი მაისურით ვიხილეთ გოჩა ჯამარაული.

ჭელიძე, სალუქვაძესთან ერთად, დაცვის ცენტრს ამაგრებდა, შაშიაშვილის ნაცვლად მოთამაშე ოდიკაძემ კი მარჯვენა მცველობა იკისრა, ხოლო ბაბუნაშვილმა, პირველი ტაიმის შუაწელამდე მარცხნიდან რომ ცდილობდა შეტევის გამწვავებას, მიხეილ კაკალაძეს ფლანგი გაუცვალა და მარჯვნიდან შეეცადა „სიონის" კართან სახიფათო მომენტების შექმნას. ჯამარაულის გამჭოლი პასები და შორეული დარტყმები კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ გუნდის სახე-ხასიათის შექმნა-ჩამოყალიბება ბევრად იქნება დამოკიდებული „ჯამარას" თამაშზე.

აქვე ვთქვათ, რომ ბოლნისელთა კართან შექმნილი სახიფათო მომენტების უმეტესობა სწორედ ჯამარაულ-ბაბუნაშვილის ანგარიშზეა. პირველის შესრულებული ორი საჯარიმოდან ერთი ბობღიაშვილმა გაჭირვებით კუთხურზე მოიგერია, მეორედ კი სტუმრებს ძელი წაეხმარათ. ხოლო ბაბუნაშვილის შორეული დარტყმისას ბურთი ხარიხამ აისხლიტა.

შორეულ დარტყმებს კი დინამოელებს ბოლნისელები აიძულებდნენ, „სიონის" დაცვა-ნახევარდაცვა თბილისელ შემტევებს საჯარიმოსთან მიახლოების საშუალებას არ აძლევდნენ და ამიტომაც იყო, მასპინძლებმა სტუმართა კარის სიახლოვეს ორიოდ მომენტი რომ შექმნეს — მე-16 წუთზე კაკალაძის კახა სიდამონიძემ არ დაანება დარტყმა, მერე კი ჯაბა დვალმა გაისროლა არაზუსტად. ცენტრფორვარდად გამწესებულ დვალს, აშკარად ჩანდა, უჭირდა ბოლნისელ მცველებთან გამკლავება და მის დასახმარებლად გია გეგუჩაძემ მატჩის დასრულებამდე 20 წუთით ადრე მოედანზე ლევან მელქაძე შეუშვა. სამი თავდამსხმელით მოთამაშე „დინამოს" შეტევები უფრო მწვავე, სახიფათო გახდა და გოლიც გამოცხვა. თავშიც ვთქვით, სამქულიანი დარტყმა მელქაძისა იყო.

ქულაზე მეოცნებე „სიონს" გასათანაბრებლად დრო საკმაოდ ჰქონდა, მაგრამ იმტაზე მისული მასპინძლების შეჩერება უკვე ძნელი იყო. „დინამო" სამ ქულას აღარ დათმობდა და გამარჯვებანაგუმანებმა იქით შეუტია. გოჩა ჯამარაულს რომ გამართლებოდა, ვინძლო, „დინამოში" მობრუნებულს პირველი გოლიც მიეთვალა.

# კმაყოფილი ფრე

კობა ინასარიძე გორიდან

გორი. 19 თებერვალი. 14 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 500 (ტევადობა 8 250)

### დილა 0:0 ბათუმი

**დილა:** თ. ილურიძე, მგელაძე, დ. ხანიშვილი, დ. მაისურაძე, გ. ჩიტაია (ბ. ჩიტაია 65), რ. საჯაიანიძე, ლ. გოშაშვილი, ოლგესაშვილი (ა. ლაბაძე 65), რევაზიშვილი (მაისურაშვილი 82), კ. ხანიშვილი, სულთანიშვილი
სათადარიგონი: ა. მაისურაძე, ჯალაბაძე, თომაშვილი, სამადაშვილი
**მწვრთნელი:** მერაბ ხუციშვილი

**ბათუმი:** სოლოლაშვილი, ბეჭლარ თედორაძე, გალოგრე, ხუჯაძე, გ. მანჯგავა (ი. მახარაძე 46), გუშარაშვილი, ღლონტი, ცანავა, პ. ჩოხელი (გონჩაროვი 65), დარჩიძე, ხომერიკი (ბესიკ თედორაძე 81)
სათადარიგონი: ი. ბალაძე, ფირცხალაიშვილი, გოგიშვილი, რამიშვილი
**მწვრთნელი:** ამირან გოგიტიძე

**გაფრთხილება:** მაისურაძე (6), ცანავა (22), მგელაძე (83), დარჩიძე (89)

**მსაჯები:** ლ. სილაგავა (თბილისი); კ. გაბრიაძე (ქუთაისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ა. ორდინიძე (ონი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე

**ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲗ** კმაყოფილი ვარ — ასე დაიწყეს პრესკონფერენცია გუნდების მწვრთნელებმა ნამატჩევს. ბათუმელთა თავკაცი შინ მუდამ თავგამოდებით მოთამაშე „დილასთან" აღებულმა ქულამ დააკმაყოფილა, გორელთა მწვრთნელი კი არწაგებამ.

თამაშიც ისეთი გამოვიდა, მერაბ ხუციშვილსა და ამირან გოგიტიძეს ბევრიც არ უნდა ენერვიულათ. მთელი მატჩის განმავლობაში მათმა შეგირდებმა თითო სახიფათო მომენტი შექმნეს და სულ ეს იყო. მეტოქეები თითქოს ერთმანეთის შეცდომას ელოდნენ, მაგრამ მცველები ყოჩაღად იდგნენ და თუ ერთი-ორჯერ მაინც შეცდნენ, თავდამსხმელებმა შესცოდეს და ბურთი კარს ვერ დაუმიზნეს. ხსენებული ორი მომენტიდან კი ერთი კობა ხანიშვილმა გააცუდა, მეორე, უფრო რეალური, მატჩის ბოლოსკენ ვიტალი დარჩიძემ. ხანიშვილმა თავური დაარტყა და ბურთი ხარიხამ აისხლიტა, დარჩიძე კი ბორის გონჩაროვმა პირისპირ შეატოვა მეკარეს, გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ბათუმელის დარტყმული უზუსტო გამოდგა.

ერთიც იყო, შესვენებამდე არჩილ ოლგესაშვილმა ყოფილ თანაგუნდელ რამაზ სოლოლაშვილს ჯარიმა დაახლოებით ცენტრიდან დაურტყა, მეკარემ კი ბურთი ცხრიანიდან კუთხურზე მოიგერია.

სხვა საინტერესო ამ მატჩში არაფერი მომხდარა, თქვენ წარმოიდგინეთ და, უჩვეულო სიმშვიდე იყო ტრიბუნებზეც, აურზაურით განთქმულ გორელ ქომაგებს ამჯერად არ უზედმეტიათ.

მეორე ტაიმის შუისკენ მწვრთნელებმა ერთიც გაიბრძოლეს და მოსაგებად გაიწიეს — ხუციშვილმა ერთბაშად ორი მოთამაშე შეცვალა, ალექსანდრე ლაბაძე და ბექა ჩიტაია ჩართო საქმეში და თამაში სამი თავდამსხმელით გააგრძელა; გოგიტიძემ კი ორიოდ დღის წინ დამატებული გონჩაროვით შეცვალა ნახევარმცველი პაატა ჩოხელი და შეტევა გააძლიერა, თუმც ხეირი ვერც მან ნახა.

გონჩაროვმა „ბათუმის" თავდასხმა აშკარად გააძლიერა, მაგრამ შედეგზე ეს არ ასახულა. მერე უკვე გოგიტიძემაც აღარ გარისკა, გონჩაროვს მეწყვილე ლევან ხომერიკი ჩამოაშორა და ბესიკ თედორაძით შუა ხაზი გაამაგრა. თუმც დარჩიძის მომენტი სწორედ ამ შეცვლის შემდეგ იყო.

*ამირან გოგიტიძე:* „მეორე ტაიმში უკეთ ვითამაშეთ, შესვენებამდე კი ბიჭებს შეუთამაშებლობა ეტყობოდათ და კომბინაციები არ გამოგვდიოდა. კარგია, რომ შინ ქულით ვბრუნდებით, არადა, „დილა" გორში ტრადიციულად ძლიერად თამაშობს. აქ მოგება დაგეგმილი არც გვქონდა."

*მერაბ ხუციშვილი:* „გუნდმა ჩემი დავალება შეასრულა, განსაკუთრებით კმაყოფილი ვარ დაცვის თამაშით. თუმც დაცვითი ფეხბურთის მიმდევარი არასდროს ვყოფილვარ. რა თქმა უნდა, უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ გპირდებით, რომ ბოლომდე ვიბრძოლებთ. „დილა" თამაშიდან თამაშამდე მოუმატებს."

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 19 | 13 | 3 | 3 | 41:19 | 42 |
| ტორპედო | 19 | 11 | 7 | 1 | 32:11 | 40 |
| თბილისი | 19 | 10 | 4 | 5 | 38:23 | 34 |
| ვიტ ჯორჯია | 19 | 8 | 5 | 6 | 30:25 | 29 |
| ლოკომოტივი | 19 | 7 | 8 | 4 | 25:16 | 29 |
| ბათუმი | 19 | 6 | 6 | 7 | 22:16 | 24 |
| ზესტაფონი | 19 | 7 | 1 | 11 | 17:36 | 22 |
| კოლხეთი | 19 | 5 | 5 | 9 | 17:23 | 20 |
| სიონი | 19 | 4 | 2 | 13 | 15:43 | 14 |
| დილა | 19 | 2 | 3 | 14 | 13:38 | 9 |

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს უმაღლესი ლიგა — 16 ჩემპიონატი 19 ტური — მეორე ეტაპი



„ზესტაფონის“ სამქულიანი გოლი გიორგი თურმანიძემ გაიტანა

# ფეროს საფირმო 1:0

## მე ვარ ბიჭი მინ ჩოი

ზესტაფონი. 18 თებერვალი. 14 საათი. ცენტრალური. 7 500 (ტევადობა 10 000)

### ზესტაფონი 1:0 თბილისი

1:0 თურმანიძე (3)

| ზესტაფონი | თბილისი |
|---|---|
| **ზესტაფონი:** ქვაჩახია, ძამსაშვილი, შ. ლონლაძე, ჩიკვილაძე, ს. თოდუა, თურმანიძე, განუგრავა, გურუა, კ. ჩხეტიანი (ბესარაშვილი 84), ნუდნი (ბ. გოცირიძე 61; სულაკაძე 90), იონანიძე | **თბილისი:** გრიშიკაშვილი, ლოლაძე, ქემოკლიძე, მესხი, მიქიაშვილი, ულენტი (შ. ჯიქია 46), გ. კვარაცხელია, გოგუა, აფციაური, რ. ბარაბაძე (მინ ჩოი 46), ს. იაშვილი |
| *სათადარიგონი:* მამარდაშვილი; ბ. ნოზაძე, გვარუციძე, შავგულიძე | *სათადარიგონი:* ჯინჭარაძე; მიქელაძე, გ. ფოფხაძე, ბოჭორიძე, გ. დარასელია |
| **მწვრთნელი:** თემურ მახარაძე | **მწვრთნელი:** ჟანი კარნევალი |

**გაფრთხილება:** ძამსაშვილი (10), მიქიაშვილი (14), გოგუა (24), ჩიკვილაძე (67), კვარაცხელია (71), გურუა (77)

**მსაჯები:** მ. მაისურაძე (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), ზ. მენთეშაშვილი, გ. ვადაჭკორია (ორივე თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ბარქაია; **დირექტორი:** ე. თევზაძე

**ილია ნანობაშვილი** ზესტაფონიდან

**მატჩის** დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე ზესტაფონის სტადიონი თითქმის შევსებული იყო და მაყურებლებს ლეგენდარული ფრედი მერკურის „ჩვენ ვართ ჩემპიონები“ ახალისებდა. მე შენ გეტყვი, საჟრიამულო საბაბი არ ჰქონდათ — ოთხი დღის წინ იყო, ფეროელებმა თბილისის „დინამო“ რომ გააკრეს ბეჭებზე...

სათასოს მსგავსად, „ზესტაფონმა“ ჩემპიონატის მეორე ეტაპიც რიხით დაიწყო და ახლა მეორე დედაქალაქური კლუბი შემოემარცხა. თემურ მახარაძემ „დინამოური“ შემადგენლობა თითქმის უცვლელი დატოვა — მხოლოდ დისკვალიფიცირებული ზაზა ზირაქიშვილი ვერ ათამაშა და ისევ ერთი ფორვარდი (იონანიძე) იკმარა წინა ხაზზე.

მატჩი კი სწრაფი გოლით დაიწყო: ზესტაფონელთა პირველივე შეტევისას ვერცხლისწყალივით მოძრავმა სერგეი ნუდნიმ დაკარგული ბურთისთვის იბრძოლა, თბილისელთა მეკარე სოსო გრიშიკაშვილმა უხეიროდ მოიგერია მოლდოველის დარტყმა და ჩასაფრებულმა გიორგი თურმანიძემაც 5-6 მეტრიდან აუღელვებლად გაიტანა — 1:0. მასპინძლებმა ინერციით გააგრძელეს მეტოქეზე დაწოლა, მაგრამ „თბილისიც“ გამოფხიზლდა და ერთ მომენტში ზურაბ ქვაჩახიას რომ არ ემარჯვა, მოუხელთებელი სანდრო იაშვილი მალევე გაასწორებდა ანგარიშს. და მაინც, ფეროელები უფრო მწარედ იკბინებოდნენ, გუჩუა-განუგრავას საყრდენმა ტანდემმა მოედნის ცენტრი დაიკავა, ჩხეტიანი და თურმანიძე რამდენჯერმე ფლანგებიდან გაექცნენ სტუმართა მცველებს, ნუდნიმ კი მეორედაც დააშვებინა შეცდომა გრიშიკაშვილს, ოღონდ „თბილისის“ მეკარე შალვა ლონლაძის დამატებულ თავურზე კარგად გაისარჯა.

შესვენების შემდეგ „თავისი ნუდნი“ თბილისელებმაც გამოიყვანეს — კორეელ ფორვარდ მინ ჩოის ვგულისხმობ, რომელმაც კიდევ ერთ შეცვლაზე შესულ შოთა ჯიქიასთან ერთად ოდნავ გამოაცოცხლა სტუმართა თამაში. ქლალთმიანმა აზიელმა ერთი-ორჯერ კარგი პასები ჩამოარიგა, დაუღალავადაც იბრძოდა და დარბოდა, თუმც ქვაჩახიას ვერაფერი დააკლო. მინ ჩოის დებიუტს არა უშავდა, სტუმართაგან კი ისევ იაშვილი თუ ბობოქრობდა სახიფათოდ, ერთხელ ჩვეული თავურიც გამოუვიდა, მაგრამ „ზესტაფონის“ მეკარემ აუღო. მოკლედ, „თბილისმა“ მეორე ტაიმში ბურთი დაიჭირა, მაგრამ ისე შმაგად კი ნაღდად ვერ უტევდა, წასაგებად რომ შეგვცოდებოდა.

ასე თუ ისე, „ზესტაფონი“ თბილისურ კლუბებთან 1:0-ს დაეჩვია და ნამატჩევს ფეროელთა ქომაგები ხუმრობდნენ, 1 მარტს „ლოკომოტივსაც“ ასეთი ანგარიშით გავისტუმრებთო.

პრესკონფერენციაზე *თემურ მახარაძემ* მოკლედ ისაუბრა, „დინამოსთან“ დამღლელი თამაშის გამო დღეს ორივე ტაიმი ჩვეულ რიტმში ვერ ჩავატარეთო. და კიდევ, აკაკი დევაძის „ზესტაფონში“ გადასვლა საბოლოოდ გამორიცხულა, მის ნაცვლად კი იმერლებმა ექსვიტჯორჯიელი მამარდაშვილი დაიმატეს. მახარაძის თქმით, შესაძლოა, „ზესტაფონში“ ახალი სახეები კიდევ გამოჩნდნენ — გაძლიერება გვჭირდებაო.

*ლუის ცაკარიასმა* კი თამაშის დონე მოიწონა, ცუდი მინდვრის მიუხედავად კარგი ფეხბურთი ვნახეთო. პერუელმა მწვრთნელმა წასულ ფეხბურთელებზე არაფერი თქვა, ახალი მოთამაშეები მყავს და მათით უნდა მივაღწიოთ შედეგსო.

ფოთი. 18 თებერვალი. 14 საათი. ფაზისი. 200 (ტევადობა 6 000)

### კოლხეთი 0:0 ვიტ ჯორჯია

| კოლხეთი | ვიტ ჯორჯია |
|---|---|
| **კოლხეთი:** ბათიაშვილი, გოროზია, ცქიფურიშვილი, ჯ. შალამბერიძე, ჭითანავა, მინდაძე, აკობია, ქუტიძე, გ. თოდუა, მიკუჩაძე (ზ. ქუთათელაძე 75), მელიქია (ვართაგავა 63) | **ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, პ. დათუნაიშვილი, თ. კობიაშვილი, ინწკირველი, ქუხილავა (სახოკია 46), ფეიქრიშვილი (ლ. კვარაცხელია 82), დილმელაშვილი, რაზმაძე, გველესიანი, მ. გოჩაშვილი, ჩილვინაძე (ცბაროიძე 69) |
| *სათადარიგონი:* გიზო შენგელია; ტყებუჩავა, თაყაძე, კუნჭულია, ნ. ნარსია | *სათადარიგონი:* ბედიაშვილი; დ. ლომაია, კვახაძე, მალიჩავა |
| **მწვრთნელი:** სერგო გაბელაია | **მწვრთნელი:** ჟანი კარნევალი |

**გაფრთხილება:** ქუტიძე (11), თოდუა (25), გოჩაშვილი (27), დილმელაშვილი (57), გოროზია (68)

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი; ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე (სამივე თბილისი); მ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი; **დირექტორი:** გ. სორდია

# ლოგიკის სურნელი

**გოჩა ჯანაშია** ფოთიდან

**„ფაზისზე“** სეზონი საკმაოდ დაძაბული მატჩით განახლდა და საბოლოო შედეგმა უფრო „კოლხეთი“ თუ დააკმაყოფილა. ჯერაც მოქმედი ჩემპიონი კი მეტოქეზე უკეთ მომზადებული ჩანდა და ამიტომაც იყო ეს ფრე მისთვის არასასურველი შედეგი.

თამაში მთლიანობაში თანაბარი გამოდგა და საკმაოდ თვალსასეიროც. ეს უფრო პირველ ნახევარ საათზე ითქმის, როცა მომენტების სიმრავლეც თვალშისაცემი იყო.

საკმაოდ ცოცხლად დაწყებულ ბურთაობას მალე სახიფათო მომენტი მოჰყვა — მე-10 წუთისთვის საქმეში სტუმართა მეკარე სერგო ჭურაძე ჩაერთო, რომელმაც ერთ წუთში ჯერ ლევან აკობიას გასროლილი მოიგერია, მერე კი ჯონი შალამბერიძის შორეული საჯარიმო.

ხუთიოდ წუთში „ვიტ ჯორჯიას“ პასუხის ჯერიც დადგა. დავით ჩილვინაძემ საჯარიმოში ჩაისლალომა და შორეულ კუთხეში მოხდენილადაც დაარტყა — ივარგა ზურაბ ბათიაშვილმა, შესაშური რეაქციით ბურთი კუთხურზე მოიგერია. იქიდან ჩაწოდებულს კი საჯარიმოს მისადგომებიდან პავლე დათუნაიშვილმა შეაგება ფეხი, თუმც მიზანმა უმტყუნა.

მალე დათუნაიშვილს იგივე პოზიციიდან ისევ მიეცა გატანის შანსი, თუმც მის დარტყმულს ისევ ბათიაშვილი გადაელობა.

შუა ტაიმში სტუმრები პენალტს ითხოვდნენ, როცა ჩილვინაძის დაბალი გადაცემა შალამბერიძემ ჩაჭრა — ჯონის ბურთი ხელზე რომ მოხვდა, ამაზე ხელის ტრავმაც მეტყველებდა, მაგრამ ალექსანდრე კრიჭაშვილმა ეს ეპიზოდი განზრახ თამაშად არ მიიჩნია. მსგავსი ეპიზოდი მეორე ტაიმის დასაწყისში უკვე ვიტელთა საჯარიმოში იყო, მაგრამ კოლხთა პროტესტის მიუხედავად, მსაჯმა საპენალტოდ არა და არ დაუსტვინა.

„კოლხეთმა“ ყველაზე მწვავე მომენტი 28-ე წუთზე შექმნა. ეს ალბათ ამ მატჩში გატანის ყველაზე რეალური შანსი იყო: გია თოდუას ფლანგურ გარღვევას კარის გასწვრივ ჩაწოდება და ლევან მელიქიას დარტყმა მოჰყვა — გაუმართლა ჭურაძეს, ბურთი პირდაპირ მისკენ წავიდა, თორემ სამიოდ მეტრიდან დარტყმულზე, ვინძლო, რეაგირება ვერ მოესწრო.

ეს იყო და, ორივე გუნდს შესვენებამდე აღარაფერი შეუქმნია. მეორე ტაიმის დასაწყისში კი უფრო მობილიზებული „კოლხეთი“ ჩანდა. ზედიზედ სამი კუთხურიც კი ჩააწოდეს კოლხებმა, მაგრამ მაინც ვერაფერს გამორჩნენ.

ვეტერინარები უფრო კონტრიერიშებზე გადაერთნენ და ჟანი კარნევალიმ ფეხმარდი ზაზა სახოკია დაახმარა გუნდს. შესვენების შემდეგ დაძაბულობამაც აშკარად კი იმატა, თუმც სანახაობრივი მხარე ამან ერთგვარად დაჩრდილა. ფაქტობრივად, ერთ რეალურ მომენტს ვერ გამოვარჩევდით, საგოლე რომ ეთქმოდა.

„ვიტ ჯორჯიას“ უკეთესი მომზადება კი სწორედ ბოლო წუთებში გამოჩნდა, თუმცა გადამწყვეტი ფაქტორი ეს მაინც ვერ გამოდგა.

შედეგად მივიღეთ უგოლო ფრე, რომელსაც მაინც ლოგიკის სუნი ასდიოდა, რადგან სეზონის ეს-ესაა, განახლდა და, ბუნებრივია, გუნდებს შეუთამაშებლობა ეტყობათ.

## თქვენი ინტერვიუ

## შოთა არველაძესთან

**«რეინჯერსი» გლაზგო, შოტლანდია**

*რუბრიკის მეორე რესპონდენტ შოთა არველაძესთან კითხვები 25 თებერვლის ჩათვლით უნდა გამოგზავნოთ და მასთან ინტერვიუ არაუგვიანეს 1 მარტამდე გამოქვეყნდება. ერთი სიტყვით, კითხვები არ დაინანოთ, მათ ეროვნული ნაკრების მთავარმეგოლე უპასუხებს.*

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net



# ომარ სივორი
## გენიოსი, მაგრამ ნამდვილი კაცი

**ბუენოს აირესში,** თავის სახლში 69 წლისა გარდაიცვალა სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელი, ჯადოსანი დრიბლიორი და მეგოლე ენრიკე ომარ სივორი, კაცი, რომელსაც ეთამაშა არგენტინის და იტალიის დიდ კლუბებში და ამ ორივე ქვეყნის ნაკრებში.

19 წლისა ის უკვე „რივერ პლეიტის" ვარსკვლავი იყო, 22 წლისა კი მსოფლიომ გაიცნო კოპა ამერიკაზე, სადაც არგენტინელთა თავდასხმის ხაზმა მასხიო-ანხტილოსივორი, რომელსაც სახალხოდ „მოთხვრილ სახეიან ანგელოზებს" უწოდებდნენ ბიჭების შავგვრემანობის გამო, მსოფლიო სენსაცია მოახდინა, ოღონდ კი ველარ მიატანა 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატამდე, რადგან ევროპულმა ტურნემ ისინი დიდ კლუბებში ჩამოარიგა.

ასე მოხვდა სივორი „იუვენტუსში", რომელთან ერთადაც სამჯერ მოიგო სკუდეტო და 2-ჯერ იტალიის თასი. 1961 წელს სივორი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად გამოცხადდა.



მან 18-ჯერ ითამაშა არგენტინის ნაკრებში, 9-ჯერ კი იტალიისაში, მათ შორის 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე.

სივორი გენიალური დრიბლიორი და ტექნიკოსი იყო და თან გოლებიც გაჰქონდა. არგენტინაში ორ სეზონში 56 ბურთი გაიტანა და „რივერმა" იმ დროისთვის საარაკო თანხა, 100 ათასი დოლარი მიიღო „იუვენტუსისგან". ეს იმდენი იყო, რომ კლუბმა სტადიონი „მონუმენტალი" ლამის ხელახლა ააშენა".

1960 წელს სივორიმ 27 გოლი გაიტანა 31 თამაშში და კაპოკანონიერე შეიქნა, რასაც „ოქროს ბურთიც" მოჰყვა. სერია A-ს 278 თამაშში სივორიმ 146 გოლი გაიტანა, კარიერა კი „ნაპოლიში" დაასრულა 1968 წელს, მოურჩენელი ტრავმის გამო.

მერე არგენტინულ კლუბებში მწვრთნელობდა და ნაკრებიც გაიყვანა 1974 წლის მსოფლიოს თასზე, ოღონდ კონფლიქტის გამო მალევე გადადგა.

გუშინ ლუჩანო მოჯიმ თქვა, რომ „იუვენტუსმა" სიმბოლო დაკარგა. უფრო მაგარი ნათქვამი კი ანტონიო იულიანოს, „ნაპოლისა" და ნაკრების ძველ ფეხბურთელს ეკუთვნის: „ის 60-იანი წლების მარადონა იყო. გენიოსი, მაგრამ ნამდვილი კაცი".

**ირაკლი გამყრელიძე**

# მაურინიუს ინგლისელები უყვარს
## რა ამბავია ამდენი უცხოელი?!

**ჟოზე მაურინიუ** უკვე ყველაფერში ეტოქება არსენ ვენგერს. დაძაბული ურთიერთობა, რომელიც „ჩელსისგან" ეშლი კოულის საიდუმლო გადაბირების საქმით კიდევ უფრო გაღრმავდა, ახლა ლამის იდეოლოგიურ წინააღმდეგობად იქცა.



ისე გამოვიდა, რომ პრემიერლიგის წინა ტურში „არსენალის" 16-კაციან განაცხადში ვერც ერთი ბრიტანელი ვერ მოხვდა. სოლ კემბელი და ეშლი კოული დაშავებულნი იყვნენ, სხვა კი იქ არც ვინმეა სათამაშო. ვენგერმა მერე თქვა, ეს ამბავი მედიას რომ არ შეეხსენებინა, არც დაუკვირდებოდიო.

მოკლედ, სულ მთლად უცხოური განაცხადი „არსენალის" ისტორიაში პირველი იყო, „ჩელსის" მენეჯერმა კი ეს ამბავი უყურადღებოდ არ დატოვა და თქვა, რომ არასოდეს მიბაძავს ვენგერს. „ჩელსის" შვიდი ინგლისელი ფეხბურთელი ჰყავს 23-კაციან გუნდში და მაურინიუმ თქვა, რომ მათი რიცხვი ახალი სეზონიდან ნამდვილად გაიზრდება.

„მე სამ-ოთხ ინგლისელს ყოველთვის ვათამაშებ — განმარტა მაურინიუმ — განსაკუთრებით საშინაო მატჩებში. მომწონს აქტიური ფეხბურთელები. მე, როგორც უცხოელი, პასუხისმგებლობას ვგრძნობ აქაური ფეხბურთისა და ნაკრების, ასევე ახალგაზრდა ფეხბურთელების წინაშე. ფანების კერპები სწორედ ისინი არიან, ვინც თავისი არსით კლუბის სულს გამოხატავენ".

ცოტა უკან რომ დავბრუნდეთ, რამდენიმე წლის წინათ სწორედ „ჩელსი" იყო ის პირველი ინგლისური გუნდი, სასტარტოში თერთმეტივე უცხოელი რომ გამოიყვანა.

დღევანდელ „ჩელსიში" კი კლუბში აღზრდილი ერთადერთი ფეხბურთელია — კაპიტანი ჯონ ტერი. ასეთი „არსენალშიც" ერთია — ეშლი კოული და „ჩელსის" სწორედ მისი გადაბირება სურს.

ფიფას ახალი პროექტის მიხედვით, კლუბებში სავალდებულო ოდენობით უნდა თამაშობდნენ ადგილობრივი ფეხბურთელები, თუმცა, მაურინიუს აზრით, ეს მართლაც რომ კარგი პროექტი უცებ ვერ განხორციელდება.

„ჩარლტონის" მენეჯერი ალან კერბიშლი საერთოდაც შიშობს, რომ მალე ინგლისის ნაკრები რეზერვისტებისგან შედგენილი გუნდი იქნება: „რაღაც უნდა მოხერხდეს, ეს ძალიან სახიფათო ამბავია".

**ირაკლი გამყრელიძე**

# არ იყიდება!
## ფანებმა გლეიზერს მასობრივად შეუტიეს

**ოთხშაბათს,** „მილანთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩის დღეს, „მანჩესტერის" გულშემატკივრები დიდ მსვლელობას გამართავენ. საპროტესტო მარშის მიზანი კი ძველი და ნაცნობია: ამერიკელ მილიარდერ მალკოლმ გლეიზერს კლუბის ყიდვა სურს.

მან უკვე მესამედ მიმართა „იუნაიტედის" მმართველ საბჭოს და მისგან წინადადების მოსმენის თანხმობაც მიიღო. ახალი შეთავაზება მილიარდ დოლარზე მეტ ინვესტიციას გულისხმობს.

„მანჩესტერის" დამოუკიდებელ გულშემატკივართა ასოციაციის თავმჯდომარემ, მარკ ლონგლენმა თქვა: „ჩვენ გულშემატკივრებს მოვუხმეთ, რათა ჩვენი წინააღმდეგობის ძალა დავანახოთ გლეიზერს. ვაჩვენებთ, რომ ბიზნესი ვერ იხარებს, თუ ფანები წინააღმდეგნი არიან. ჩვენი წინა მარში „ოლდ ტრეფორდისკენ" ოქტომბერში იყო „არსენალთან" თამაშის წინ და ის განუმეორებელი ატმოსფერო დღემდე ვერავინ დაივიწყა. „მილანთან" ახლაც დიდი მატჩია და ასევე იქნებ, კლუბი ხომ ჩვენთვის არსებობს".

ორი დღის წინ „მანჩესტერის" პასუხისმგებელმა შეფმა, დევიდ გილმა ფანები დააწყნარა, რადგან თქვა, რომ გლეიზერის მორიგი შემოთავაზება აგრესიული და საზიანოა და საბჭო მხოლოდ ფორმალურად თუ მოუსმენს მას.

თუმცა, გულშემატკივრები მაინც ღელავენ და აცხადებენ, რომ თუ მალკოლმ გლეიზერი კლუბს ხელში მოიგდებს, მაშინ ისინი ბოიკოტს გამოუცხადებენ კლუბის სავაჭრო პოლიტიკას და მთელი მსოფლიოს „მანჩესტერელებსაც" მოუწოდებენ, არ იყიდონ ნივთები და სამოსი საყვარელი კლუბის გამოსახულებით.

**ირაკლი გამყრელიძე**

## ფეხბურთის რუკაზე



**იტალიური** „მილანის" თავდამსხმელი ფილიპო ინძაგი ისევ დაშავდა, ამჯერად მსუბუქად. პიპო „კალიარისთან" დღევანდელ და „მანჩესტერთან" ოთხშაბათის მატჩებს აუცილებლად გამოტოვებს.

**ურუგვაელ** ნახევარმცველ მარსელო სოსას ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტისა და „ატლეტიკოსგან" სასჯელი ელის. როგორც გაირკვა, სოსამ გასულ უქმეებზე მადრიდელთა ერთ-ერთ გულშემატკივარს სახეში თავი ჩაარტყა. დაზარალებული ქომაგის თქმით, მან ფეხბურთელს „ლევანტესთან" მხოლოდ ცუდი თამაშის მიზეზი ჰკითხა, პასუხად კი აგრესია მიიღო.

**გერმანიის** ნაკრებისა და „ბაიერნის" ნახევარმცველმა მიხაელ ბალაკმა განაცხადა, რონალდინიოსთან ერთად თამაში მწადიაო. „რონალდინიო არნახულად ტექნიკურია და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია. თუმცა, ახლა ჩემს მომავალზე არ ვფიქრობ. მხოლოდ „ბაიერნზე" ვარ კონცენტრირებული. მართალია, ზაფხულში „ბარსელონამ" საკმაოდ მიმზიდველი წინადადება შემომთავაზა, მაგრამ გუნდის უფროსობამ ჩემი გაშვება იუარა" — დასძინა ბალაკმა.

**ბრაზილიელმა** ადრიანომ „ინტერს" ერთგულება შეჰფიცა. 23 წლის ფეხბურთელმა ეს განცხადება ორი დღის წინ, თავის დაბადების დღეზე გააკეთა: „ეს გუნდი გულით მიყვარს და მინდა, კარიერა აქ დავასრულო. მილანში უბედნიერესი ვარ და ყველაფერი მომწონს". შეგახსენებთ, რომ ადრიანოს „ინტერთან" მოქმედი კონტრაქტი 2008 წლამდე აქვს, ხოლო მისი ხელში ჩაგდება „რეალსა" და „ჩელსის" სურთ.

**ესპანურ** „ვილიარეალთან" მატჩის შემდეგ, კიევის „დინამოს" პრეზიდენტმა იგორ სურკისმა გულშემატკივრებს ახალწვეული, როდრიგო და კოშტა წარუდგინა. „სან პაულუს" ყოფილმა მცველმა „დინამოსთან" ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**იტალიურმა** „ბოლონიამ" თავისი ახალგაზრდა ვარსკვლავი მურად მეგნი შეაფასა — ფეხბურთელის ყიდვა მსურველებს 7,5 მილიონ ევროდ შეეძლებათ. 20 წლის მეგნის ტურინის „იუვენტუსი" და მადრიდის „რეალი" ეკურკურებიან.

**ინგლისური** „არსენალის" მთავარი მწვრთნელი არსენ ვენგერი წამყვან ფეხბურთელთა ტრავმებს შეუფიქრიანებია — ეშლი კოული, ტიერი ანრი და სოლ კემბელი ისე არიან დაშავებულნი, რომ ოთხშაბათს, მიუნხენის „ბაიერნთან" მათი თამაში საეჭვოა.

**რუსული** „შინიკი" კამერუნელი ნახევარმცველით გაძლიერდა: 24 წლის სერჟ ბრანკომ სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. სათქმელია ისიც, რომ ბრანკო აქამდე „აინტრახტში", „შტუტგარტში", „ლიდსსა" და „ქუინზ პარკში ბურთაობდა.

**იტალიის** ნაკრებისა და „რომას" ფორვარდ ვინჩენცო მონტელას „ჯალოროსისთან" კონტრაქტის გახანგრძლივება სურს. „სამპდორიას" ყოფილ თავდამსხმელს დედაქალაქელებთან მოქმედი კონტრაქტი კი სეზონის ბოლოს ეწურება.

**გერმანული** „დორტმუნდი" სერიოზულ ფინანსურ კრიზისშია. როგორც ირკვევა, ბოლო 6 თვის მანძილზე კლუბმა 27,2 მილიონი ევრო იზარალა. მთლიანობაში კი „დორტმუნდის" დანაკარგი დაახლოებით 142,1 მილიონს შეადგენს.

**ბრაზილიელ** რომარიოს, ჟორჟე ფერეირა ალვეშმა ქვეყნის პლაჟის ნაკრების მწვრთნელობა შესთავაზა: „მისი ჩემს შემცვლელად დანიშვნა იმიტომ მინდა, რომ ჯერ ერთი, მაგარია და საკმაოდ გამოცდილიც, თანაც მისი სახელი პლაჟის ფეხბურთს უფრო პოპულარულს გახდის.

**ფრანგული** „მარსელის" მეკარე ფაბიენ ბარტეზს დისკვალიფიკაცია ელის. მან გასულ უქმეებზე მაროკოულ „ვიდადთან" მატჩში არბიტრს შეაფურთხა. მაროკოს ფეხბურთის ფედერაციამ ცხადია, ვეტერანი მეკარის დასჯა მოითხოვა.

**ინგლისური** „ლივერპულის" მცველ ჯეიმი კარაგერის მამას საფეხბურთო მატჩებზე დასწრება სულ მცირე, სეზონის ბოლომდე აეკრძალა. 50 წლის მისტერ ჰარი ცნობილია ემოციური გამოხტომებით. იგი წინა კვირაში, ინგლისისა და ჰოლანდიის ნაკრებების შეხვედრაზე ნასვამი მივიდა, რაც სამართალდამცავებმა შეამჩნიეს და მოედანზე არ შეუშვეს. მიუხედავად ამისა, ჰარი კარაგერი თვითნებურად შეიჭრა „ვილა პარკზე" და არეულობა გამოიწვია.

**იტალიური** „მილანის" თავდამსხმელი ანდრეი შევჩენკო გუშინ დსთ-სა და ბალტიისპირეთის ქვეყნების საუკეთესო ფეხბურთელის თასით დააჯილდოვეს. გამოკითხვას რუსული გაზეთი „სპორტ-ექსპრესი" ატარებდა და მისმა მთავარმა რედაქტორმაც „შევას" ჯილდო ადრიანო გალიანისა და რომან აბრამოვიჩის თანდასწრებით გადასცა.

Copa Toyota Libertadores '2005

## ლიბერტადორესის თასი 2005

I ჯგუფი. I ტური

ლიბერტადი (პარაგვაი) 1:2 ამერიკა (კოლუმბია)

VI ჯგუფი. I ტური

კარაკასი (ვენესუელა) 1:1 ბანფილდი (არგენტინა)

VIII ჯგუფი. I ტური

დეპორტივო (ეკვადორი) 0:0 ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)

| XXV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| მესინა | : | იუვენტუსი |
| მილანი | : | კალიარი |
| უდინეზე | : | ინტერი |
| **ხვალ** | | |
| ატალანტა | : | ბოლონია |
| პარმა | : | ბრეშა |
| სიენა | : | ფიორენტინა |
| კიევო | : | ლაციო |
| პალერმო | : | ლეჩე |
| რომა | : | ლივორნო |
| სამპდორია | : | რეჯინა |

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 24 | 16 | 5 | 3 | 40:15 | 53 |
| მილანი | 24 | 15 | 6 | 3 | 42:16 | 51 |
| ინტერი | 24 | 9 | 15 | 0 | 46:29 | 42 |
| უდინეზე | 24 | 12 | 4 | 8 | 33:23 | 40 |
| სამპდორია | 24 | 11 | 5 | 8 | 26:18 | 38 |
| პალერმო | 24 | 9 | 9 | 6 | 23:17 | 36 |
| რომა | 24 | 9 | 8 | 7 | 42:36 | 35 |
| კალიარი | 24 | 9 | 6 | 9 | 33:38 | 33 |
| ბოლონია | 24 | 8 | 8 | 8 | 26:23 | 32 |
| ლეჩე | 24 | 8 | 8 | 8 | 42:42 | 32 |
| რეჯინა | 24 | 8 | 8 | 8 | 24:26 | 32 |
| ლივორნო | 24 | 8 | 6 | 10 | 26:30 | 30 |
| მესინა | 24 | 7 | 7 | 10 | 29:39 | 28 |
| კიევო | 24 | 7 | 7 | 10 | 21:35 | 28 |
| ლაციო | 24 | 7 | 6 | 11 | 31:36 | 27 |
| ფიორენტინა | 24 | 6 | 8 | 10 | 23:31 | 26 |
| ბრეშა | 24 | 6 | 5 | 13 | 17:29 | 23 |
| პარმა | 24 | 5 | 8 | 11 | 25:39 | 23 |
| სიენა | 24 | 3 | 13 | 8 | 23:35 | 22 |
| ატალანტა | 24 | 2 | 8 | 14 | 17:32 | 14 |

## იტალია

პაპუნა კედია

# ვის ეშინია სან სიროსი?



კარლო ანჩელოტი დღეს სავარაუდოდ, „მილანის" სათამაშო სისტემას შეცვლის

**„იუვენტუსმა"** წინა ტურში „უდინეზე" დაამარცხა და ლიდერობა შეინარჩუნა, მაგრამ შეგახსენებთ, რომ „მილანთან", ოდესღაც დიდი რიხით მოპოვებული რვაქულიანი უპირატესობა ორად-ორ ქულამდე აქვს დაყვანილი და თითოეული შეხვედრა მისთვის სტრესის პირას დგომის ტოლფასია.

ამჯერად, ჩემპიონატის ლიდერი სიცილიაზე, „მესინასთან" თამაშობს და ყურადღებას ერთი ასეთი საკითხითაც იპყრობს: „უდინეზესთან", „ბებერმა ქალბატონმა" მისთვის უჩვეულო ტაქტიკური სქემა, 3-4-3 გამოიყენა ანუ ერთდროულად ათამაშა სამივე თავდამსხმელი — დავიდ ტრეზეგე, ზლატან იბრაჰიმოვიჩი და ალესანდრო დელ პიერო. ახლა გაბედავს კი ფაბიო კაპელო სტუმრადაც სამი ფორვარდით და შესაბამისად, სამი მცველით თამაშს? მითუფრო, რომ დავიდ ტრეზეგეს გუშინ მაღალი სიცხე ჰქონდა. შეგახსენებთ, რომ „მესინამ" მშობლიურ „სტადიო სან ფილიპოზე" მიმდინარე სეზონში მხოლოდ ორჯერ წააგო.

შეხვედრა დღეს, ჩვენი დროით საღამოს რვა საათზე დაიწყება. ტურინელთა გუნდში არ იქნებიან ტრავმირებულები, ოლივიე კაპო და ალესიო ტაკინარდი, ხოლო პაველ ნედვედი, რომელსაც მუხლის ტკივილმა მთელი თვე გააცდენინა, გამოჯანმრთელებასთან ახლოა, მაგრამ მისი შემადგენლობაში გამოჩენის გარანტიას „იუვეს" ქომაგებს ჩვენ ვერ მივცემთ.

„მესინაზე" უკვე გითხარით, რომ შინ ძლიერია, სტუმრად კი სუსტი. დღეს მასპინძლებს დისკვალიფიცირებული ჰყავთ ნახევარმცველი ფერდინანდო კოპოლა, ხოლო ლუკა ფუსკოს, ჟორჟე მამედეს და „იუვენტუსის" ყოფილი ფეხბურთელის, ნიკოლა ამორუზოს საქმეში ხილვა საეჭვოა. სიცილიელები სავარაუდოდ, ძირითადში ათამაშებენ წინა ტურში, „სიენას" კარში (2:2) გატანილი საეჭვო გოლის ავტორს, არტურო დი ნაპოლის.

„მილანიც" დღეს, ოღონდ „იუვენტუსისგან" განსხვავებით შინ, „სან სიროზე" თამაშობს. განსხვავება ისიცაა, რომ „შავ-წითლები" თამაშს საქართველოს დროით თერთმეტის ნახევარზე იწყებენ. მათი მეტოქეა სარდინიული „კალიარი", ვეტერან ლიდერ ჯანფრანკო ძოლათურთ.

ბოლო ტურში მილანელებს აკლდათ ანდრეა პირლო, რომელსაც მუხლის მყესები სტკივა და სავარაუდოდ, დღესაც არ იქნება. ამბობენ, რომ ამ დანაკლისის შევსებას მილანელთა მწვრთნელი, კარლო ანჩელოტი პირლოს პირდაპირი შემცვლელის ძებნით კი არ შეეცდება, არამედ ტაქტიკური ცვლილებებით. ეს ბუნებრივიც არის, რადგან პირლოს შემცვლელი ანჩელოტის უბრალოდ, არ ჰყავს. ამიტომ, დღეს შეიძლება სამმცველიანი „მილანიც" კი ვიხილოთ — კაფუ და სერჟინიო ფლანგებზე ითამაშებენ, ხოლო გამთამაშებლობა არაა გამორიცხული, რუი კოშტამ და კაკამ ერთად იკისრონ.

„კალიარი" კი ზემოხსენებული „მესინასი" არ იყოს, სტუმრად ცუდად თამაშობს. სამი ფრე და ერთი მოგება რვა დამარცხების ფონზე, დაგვეთანხმებით ცუდი შედეგია. მწვრთნელი, დანიელე არიგონი ამბობს, რომ საქმე „ფსიქოლოგიურ ჯებირთან" გვაქვს. ასე რომ, სარდინიელთა მხრივ თამაშის შედეგი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად ეშინიათ მათ „სან სიროსი".

სერია A-ს ცხრილის მესამე და მეოთხე გუნდები კი ერთმანეთში არკვევენ ურთიერთობას — „მილანის" მატჩთან ერთად უდინეში, „სტადიო ფრიულიზე" დაიწყება „უდინეზესა" და „ინტერის" შეხვედრა. მათ შორის განსხვავება ორი ქულაა, ასე რომ, თუ „შავ-ლურჯები" ივაჟკაცებენ და მოიგებენ, მდევარი შეიძლება ხუთი ქულით ჩამოიტოვონ.

რობერტო მანჩინის ბიჭები, როგორც ჩანს, ფრეების ეპოქიდან გამოვიდნენ — ბოლო ოთხი თამაშიდან სამი მოიგეს და ნუ დაგავიწყდებათ, რომ კვლავ დაუმარცხებლები არიან. მწვრთნელი ამბობს, რომ მისი გუნდი სკუდეტოსთვის ბრძოლას არამც და არამც არ ჩამოშორებია, თუმცა, ვინაიდან რამდენიმე დღეში „ინტერს" ჩემპიონთა ლიგის თამაში უწევს, არავინ იცის, როგორ შემადგენლობას აირჩევს ახალგაზრდა ტაქტიკოსი. ერთი კი ნაღდია, დღეს სინიშა მიხაილოვიჩი აუცილებლად იქნება — ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, წინა თამაშის დარად, ორი არ უნდა, ერთი ჯარიმაც რომ დაარტყას...

| XXII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ჰამბურგი | : | ლაუტერნი |
| ბოხუმი | : | ფრაიბურგი |
| ბაიერნი | : | დორტმუნდი |
| მაინცი | : | არმინია |
| ნიურნბერგი | : | ლევერკუზენი |
| ვოლფსბურგი | : | ჰანზა |
| ჰანოვერი | : | ვერდერი |
| **ხვალ** | | |
| გლადბახი | : | შალკე |
| შტუტგარტი | : | ჰერტა |

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 21 | 12 | 5 | 4 | 39:23 | 41 |
| შალკე | 21 | 13 | 2 | 6 | 33:26 | 41 |
| ვერდერი | 21 | 11 | 4 | 6 | 45:25 | 37 |
| ჰერტა | 21 | 9 | 9 | 3 | 35:18 | 36 |
| შტუტგარტი | 21 | 10 | 5 | 6 | 39:28 | 35 |
| ლევერკუზენი | 21 | 10 | 5 | 6 | 37:27 | 35 |
| ჰამბურგი | 21 | 11 | 1 | 9 | 37:31 | 34 |
| ჰანოვერი | 21 | 9 | 5 | 7 | 26:22 | 32 |
| ლაუტერნი | 21 | 9 | 4 | 8 | 30:29 | 31 |
| ვოლფსბურგი | 21 | 10 | 0 | 11 | 35:35 | 30 |
| დორტმუნდი | 21 | 7 | 7 | 7 | 24:25 | 28 |
| არმინია | 21 | 8 | 4 | 9 | 23:27 | 28 |
| ნიურნბერგი | 21 | 6 | 6 | 9 | 35:36 | 24 |
| გლადბახი | 21 | 6 | 6 | 9 | 25:35 | 24 |
| მაინცი | 21 | 6 | 4 | 11 | 27:37 | 22 |
| ბოხუმი | 21 | 3 | 7 | 11 | 26:43 | 16 |
| ფრაიბურგი | 21 | 3 | 7 | 11 | 17:41 | 16 |
| ჰანზა | 21 | 2 | 7 | 12 | 18:43 | 13 |

## გერმანია

პაპუნა კედია

# მაგათი, ბუნდესლიგა და ევროპა



ფელიქს მაგათი მიხაელ ბალაკს აუცილებლად ათამაშებს

**დღეს,** საღამოს ექვსის ნახევარზე, მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე" „ბაიერნი" დორტმუნდის „ბორუსიას" ხვდება. სტუმრებს, მოგეხსენებათ, შავად აქვთ საქმე: ბუნდესლიგის 2002 წლის ჩემპიონი და 1997 წლის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული ფინანსური კრიზისის მორევშია, გაკოტრებას ბევრი ალარაფერი უკლია და ბერტ ვან მარვეიკის ბიჭებიც რომ ჯერ არ დაფანტულან, სწორედ ესაა გასაკვირი.

არადა, ბოლო ოთხ თამაშში რურის ოლქელმა გიგანტმა გვარიანი შედეგები აჩვენა, სამი მოიგო, ხოლო ერთი ფრედ დაასრულა და მე-11 ადგილზე ავიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ გავარდნის ზონას, ამწუთას, 12 ქულით არის აცდენილი. ამ შეხვედრებში ოთხივე გოლი ჩეხმა გოლიათმა იან კოლერმა შეაგდო და, ბუნებრივია, „ბაიერნის" დაცვამ ყველაზე მეტი ყურადღება სწორედ მას უნდა მიაქციოს.

„ბაიერნმა" კი ბოლო ტურში „არმინიასთან" ბილეფილდში წააგო 1:3. შესაბამისად, მიუნხენელებმა ერთპიროვნული ლიდერობა გაუშვეს ხელიდან და ლევან კობიაშვილის „შალკეს" მისცეს მათთან გატოლების საშუალება. მთელი კვირის განმავლობაში ვერ ივარჯიშა ნახევარდაცვის მთავარმა კაცმა მიხაელ ბალაკმა, რომელსაც ბარძაყის კუნთი ჰქონდა დაჭიმული, მაგრამ მწვრთნელი ფელიქს მაგათი ოდნავი შესაძლებლობის შემთხვევაშიც კი აპირებს მის შემადგენლობაში ჩართვას. ეს დაგვეთანხმებით, შორიდან საკმაოდ სარისკო ნაბიჯად მოსჩანს, რადგან სამშაბათს მიუნხენელებს არც მეტი, არც ნაკლები, ლონდონის „არსენალი" ელით ჩემპიონთა ლიგაში.

„ჩემთვის მთავარი ბუნდესლიგაა — ამბობს მაგათი — ევროპული შეხვედრის წინ ვინმეს დასვენება ჩემი წესი არ არის".

ზემოხსენებული „შალკე" კი მიონხენგლადბახში მიემგზავრება, რათა ხვალ, მეთოთხმეტე ადგილზე მყოფ „ბორუსიასთან" გაარკვიოს ურთიერთობა. გელზენკირხენელთა მწვრთნელი რალფ რანგნიკი დარწმუნებულია, რომ მისი ფეხბურთელები ძველებურად იმტაზე არიან, მითუფრო წინა ტურში „ვოლფსბურგთან", 3:0 გამარჯვებისა და „ბაიერნთან" ქულებით გატოლების შემდეგ.

შეგახსენებთ, რომ ოთხშაბათს „შალკემ" დონეცკში, „შახტართან" ითამაშა 1:1. ეს გახლდათ უეფას თასის მატჩი, რომელიც დიდად საამური არანაირი პარამეტრით არ ყოფილა, ამიტომაც რანგნიკი მიონხენგლადბახში ფიქრობს გახარებას. იქაურმა „ბორუსიამ" კი ბოლოს ცუდად ითამაშა და ჩემპიონ „ვერდერთან" 0:2 წააგო.

იაშვილის, ცქიტიშვილის და ხიზანეიშვილის „ფრაიბურგი", რომელიც მეჩვიდმეტეზეა, მეთექვსმეტეს, „ბოხუმს" სტუმრობს. გამარჯვებას ორივე გუნდისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მორიგი სამი ქულით ისინი თავს უფრო მეტად ბუნდესლიგაში იგრძნობენ, ვიდრე მეორე ბუნდესლიგაში.

მესამე ადგილზე მყოფი „ვერდერი" ჰანოვერში თამაშობს. „ჰანოვერმა" წინა ტურში სტუმრად „ფრაიბურგთან" ითამაშა 0:0, ხოლო შინ, ახალ სტადიონზე (რომელიც 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისათვის იანვარში საზეიმოდ გაიხსნა) ორივე მატჩი წააგო.

# მილანს და მანჩესტერს არავინ სჯობს

## ქართველების ძველი ნაცნობი, ჯო ჯორდანი

*ჯო ჯორდანის ეს ინტერვიუ ჩემპიონთა ლიგის მოახლოებულ თამაშს ეხება — საუბარია, „მილანისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" დაპირისპირებაზე — მაგრამ სანამ იმას ვიტყოდეთ, თუ რა შუაშია წინა საუკუნის სამოცდაათიანი-ოთხმოციანი წლების ეს შოტლანდიელი მოთამაშე ახლანდელ ჩემპიონთა ლიგასთან, 1982 წლის 22 ივნისი გავიხსენოთ, როდესაც ესპანეთში, მალაგაში, „ესტადიო ლა როსალედაზე", თბილისის დროით ღამის პირველის თხუთმეტ წუთზე ალექსანდრე ჩივაძეს ფეხი დაუცდა...*

*...მაშინ ჩივაძემ (რომელმაც მეორე ტაიმში ანგარიში გაათანაბრა) ბურთი ვერ დაიმორჩილა, წინ გადაუვარდა და იგი სწორედ ჯო ჯორდანმა მოიხელთა. იმ მომენტში ჯორდანის გამჩერებელი აღარავინ იყო, ის რინატ დასაევთან პირისპირ გავიდა და გოლიც გაიტანა. საბოლოოდ, საბჭოთა და შოტლანდიის ნაკრებების შეხვედრა ფრედ, 2:2 დასრულდა — თითო რამაზ შენგელიამ და გრემ სუნესმა დაამატეს — თუმცა თემას ნულარ გადავუხვევთ.*

*დავუბრუნდეთ ჯორდანს, რომელიც დღეს „პორტსმუთში" მუშაობს, ერთ-ერთი მწვრთნელია, მაგრამ „მილანის" და „მანჩესტერის" მოახლოებულ შეხვედრაზე სხვა მიზეზით ლაპარაკობს: მას ორივე გუნდში უთამაშია*



**— „მილანი" პირველ შეხვედრას სტუმრად თამაშობს. ეს მათი უპირატესობაა?**

— ძალიან მსუბუქი. ჩვენ ხომ არ ვლაპარაკობთ გუნდებზე, რომლებიც ჩემპიონთა ლიგაში ერთიორი წელიწადი არ ყოფილან, და ახლა მოხვდნენ. ჩვენ ვსაუბრობთ მათზე, ვინც ყოველ სეზონში ლიგის ფავორიტთა შორის არიან და ნებისმიერი დონის წინააღმდეგობისთვის თავის გართმევის უნარი შესწევთ. შინ თამაშს, თუ გნებავთ, საპასუხო შეხვედრაში შინ თამაშს კიდევ ის უპირატესობა აქვს, რომ გავსებული ტრიბუნები და ატმოსფერო გეხმარება, თუმცა „მილანიცა" და „მანჩესტერ იუნაიტედიც" რაგინდარა გარემოში მოხვედრილან, თანაც მრავალჯერ.

**— თქვენ დროს „მილანში" ფრანკო ბარეზი თამაშობდა. „შავ-წითელთა" დღევანდელ გუნდში არიან მისი დონის მცველები?**

— ფრანკო გამორჩეული იყო. დღევანდელ „მილანში" კი ასეთი პაოლო მალდინია, რომელიც შეგვიძლია მას გავუტოლოთ, რადგან ყველა ის ტიტული აქვს, რაც ფრანკოს მოუგია. ამ ორ კაცს თავიანთი კლასი საყოველთაოდ აქვს დამტკიცებული და არა მგონია, მათზე მაღლა საერთოდ ვინმე იდგეს. ისინი იმითაც ჰგვანან ერთმანეთს, რომ ორივე „მილანის" საფეხბურთო სკოლამ გაზარდა და ორივემ მთელი კარიერა ერთ კლუბში გაატარა. არადა, იმისთვის, რომ 18 წელიწადი „მილანში" ითამაშო, უმაღლესი დონის ვარსკვლავი უნდა იყო. მათი პერიოდის „მილანში" კიდევ თამაშობდნენ ალესანდრო კოსტაკურტა და მაურო ტასოტი. სწორედ ასეთი ფეხბურთელების გამო იყო ის გუნდი საუკეთესო იმ გუნდებს შორის, ვინც კი ოდესმე მინახავს.

**— „მილანისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" შეხვედრა იმითაც არის საინტერესო, რომ ერთ მხარეს რიო ფერდინანდი იდგება, ხოლო მეორე მხარეს ალესანდრო ნესტა. ისინი თანამედროვეობის უდიდესი მცველები არიან. რომელს უფრო მაღლა აყენებთ?**

— ძნელია გადაჭრით თქმა, რადგან ისინი სხვადასხვა ლიგებში თამაშობენ. დიახ, ფეხბურთი ფეხბურთია, მაგრამ არის განსხვავებებიც. ახლა, როდესაც ნესტას და ფერდინანდის გუნდები ერთმანეთის პირისპირ წარსდგებიან, ხოლო მათ მაღალი დონის თავდამსხმელებთან ერთსა და იმავე მატჩებში მოუწევთ ბრძოლა, კიდევ შეიძლება რაღაც შთაბეჭდილების შექმნა. მცველს ხომ მაღალი კლასის თავდამსხმელი ცდის.

**— როგორ ფიქრობთ, ანდრეი შევჩენკომ ღირსეულად მოიგო „ფრანს ფუტბოლის" გამოკითხვა?**

— დიახ და ვფიქრობ, მანჩესტერელებმა მის წინააღმდეგ გუნდურად უნდა ითამაშონ. ამასთან, მოდით, საკითხს შევჩენკოს მხრიდანაც შევხედოთ. მასაც ხომ საუკეთესო მცველები დაუდგებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ შეხვედრაში ბევრ საინტერესო დუელს ვნახავთ.

**— შეიძლება შევჩენკოს და „მილანის" ლეგენდარული ფორვარდის, მარკო ვან ბასტენის შედარება?**

— ჩემი აზრით, ვან ბასტენს ბადალი არ ჰყოლია, თუმცა რაც შევჩენკო „მილანშია", გოლი გოლზე გააქვს. ალბათ, შევჩენკო მაინც ბედნიერი უნდა იყოს, ვან ბასტენს რომ ადარებენ, რადგან მისი კლასი სულ სხვა იყო.

**— კეთილი. მაშინ შევჩენკო და რუუდ ვან ნისტელროი შევადაროთ.**

— ისევ ორ სხვადასხვა ლიგაზე მელაპარაკებით... თუმცა, მგონი სერია A-ში გოლების გატანა უფრო ძნელია.

**— როგორ შეუტევს „იუნაიტედი" მილანელებს?**

— ეგ, ალექს ფერგიუსონს ჰკითხეთ, მე ჩემი პრობლემებიც მყოფნის. ჩვენ მათ „მილანთან" თამაშიდან სამ თუ ოთხ დღეში ვხვდებით, ასე რომ, ფერგიუსონს ფეხზე არ დავაბიჯებ და არ ვასწავლი, როგორ უნდა ათამაშოს თავისი გუნდი.

**— როგორ გამოჩნდება „სან სიროზე" უეინ რუნი?**

— ვფიქრობ, რუნის „სან სიროზე" გასვლამდე ერთი სული უნდა ჰქონდეს. დიდ ფეხბურთელებს დიდი სარბიელებისკენ უნდა მიუწევდეთ გული. რუნი იმსახურებს დიდ სარბიელს და „მანჩესტერ იუნაიტედშიც", ალბათ ამიტომ გადავიდა. ამას „ევერტონისადმი" დიდი პატივისცემის მიუხედავად გულწრფელად ვამბობ. რუნის ტრანსფერმა ყველას ის მისცა, რაც უნდოდა — „ევერტონს" ფული, „მანჩესტერს" კი მაგარი ფეხბურთელი.

**— ვინ მიგაჩნიათ მეტოქეთა საკვანძო ფეხბურთელად?**

— ასეთი ბევრია. ჩვენ ხომ მსოფლიო დონის გუნდებზე ვლაპარაკობთ, რომელთაც ყველა რგოლი ვარსკვლავებით ჰყავთ დაკომპლექტებული. თუ გნებავთ, [illegible] კაპიტანი, როი კინი და [illegible]ლდინი დავასახელოთ...

**— დიდი მნიშვნელობა, ალბათ ნახევარმცველთა, როი კინისა და ჯენარო გატუზოს დუელსაც ექნება...**

— ასეთ შეხვედრაში ნებისმიერი ფეხბურთელის თამაშს დიდი მნიშვნელობა აქვს. ვერ ვიტყვი, რომ მატჩის ბედს ეს ან ის გადაწყვეტს.

**— და იაპ სტამმა თავის ყოფილ გუნდს რამე უნდა დაუმტკიცოს?**

— არა. მას დასამტკიცებელი არაფერი სჭირს. თავის დროზე „მანჩესტერში" ჩინებულადაც თამაშობდა და ხალხსაც უყვარდა. მეორე მხრივ, ნაცნობ სტადიონზე ჩასვლას და ძველ გუნდთან გამარჯვებას რა სჯობს? თავმოყვარეობის დაკმაყოფილება სწორედ ისაა, როდესაც ძველ ნაცნობებს წლების შემდეგაც აჩვენებ, რომ უწინდელივით ძლიერი ხარ.

**— ალექს ფერგიუსონი და კარლო ანჩელოტი კი მსოფლიოს ყველაზე პატივცემულ მწვრთნელთა შორის არიან. მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ?**

— ცხადია. მათ შექმნეს სტანდარტები და ისინი ჯილდოებით უნდა გაამყარონ. მათ უკვე დაამტკიცეს, რომ უმაღლესი დონის მწვრთნელები არიან და გუნდები ნებისმიერ ქარტეხილში გაჰყავთ.

**— როგორ ფიქრობთ, მაისში, ჩემპიონთა თასს ამ წყვილში გამარჯვებული აღმართავს?**

— შესაძლოა, ასეც იყოს, თუმცა ამ ეტაპზე ჯერ ბევრი გუნდი მონაწილეობს შეჯიბრებაში. მეორე მხრივ, ეს გუნდები „მანჩესტერ იუნაიტედსა" და „მილანზე" ძლიერები ნაღდად არ არიან.

**— და ბოლოს, თქვენ ვისკენ ხართ?**

— აბსოლუტურად ნეიტრალური გახლავართ. მე სიამოვნით ვარ განწყობილი ნებისმიერი გუნდისადმი, სადაც მითამაშია. უბრალოდ, მწყინს, ეს თამაში ფინალს დაამშვენებდა.

### XXIV ტური

**დღეს**

| | | |
|---|---|---|
| რეალი | : | ბილბაო |
| ბარსელონა | : | მალიორკა |
| სოსიედადი | : | სევილია |

**ხვალ**

| | | |
|---|---|---|
| ვილიარეალი | : | ატლეტიკო |
| ბეტისი | : | დეპორტივო |
| მალაგა | : | ესპანიოლი |
| რასინგი | : | ვალენსია |
| ლევანტე | : | სარაგოსა |
| ხეტაფე | : | ოსასუნა |
| ალბასეტე | : | ნუმანსია |

### სადღეისო ვითარება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 23 | 17 | 3 | 3 | 47:17 | 54 |
| რეალი | 23 | 16 | 2 | 5 | 43:17 | 50 |
| სევილია | 23 | 12 | 5 | 6 | 28:24 | 41 |
| ვალენსია | 23 | 10 | 8 | 5 | 36:23 | 38 |
| ბეტისი | 23 | 10 | 8 | 5 | 37:28 | 38 |
| ესპანიოლი | 23 | 11 | 5 | 7 | 28:24 | 38 |
| ვილიარეალი | 23 | 10 | 7 | 6 | 38:20 | 37 |
| ატლეტიკო | 23 | 9 | 6 | 8 | 24:20 | 33 |
| ბილბაო | 23 | 8 | 8 | 7 | 37:32 | 32 |
| დეპორტივო | 23 | 7 | 11 | 5 | 33:32 | 32 |
| ოსასუნა | 23 | 8 | 5 | 10 | 34:39 | 29 |
| სარაგოსა | 23 | 8 | 4 | 11 | 29:38 | 28 |
| სოსიედადი | 23 | 7 | 5 | 11 | 29:34 | 26 |
| ხეტაფე | 23 | 7 | 5 | 11 | 22:27 | 26 |
| ლევანტე | 23 | 7 | 5 | 11 | 25:36 | 26 |
| მალაგა | 23 | 7 | 4 | 12 | 16:30 | 25 |
| ალბასეტე | 23 | 5 | 8 | 10 | 21:32 | 23 |
| მალიორკა | 23 | 5 | 6 | 12 | 23:37 | 21 |
| რასინგი | 23 | 5 | 6 | 12 | 21:36 | 21 |
| ნუმანსია | 23 | 3 | 5 | 15 | 13:38 | 14 |

## ესპანეთი

ლადო ხომერიკი

# რა დროს ფეხბურთია...

## მამა სალგადოს ახალშობილი სალგადო ახელებს

**ტურის** ცენტრალური მატჩი „სანტიაგო ბერნაბეუზეა" — ვანდერლეი ლუშემბურგოს „რეალი" ერნესტო ვალვერდეს ღონიერ „ბილბაოს" ისტუმრებს.

ცხადია, მადრიდელები მოსაგებად გავლენ მინდორზე და ამ მიზნის მიღწევაში მათ ვერ დაეხმარება მარცხენა მცველი რობერტო კარლოსი — ის დისკვალიფიცირებულია. შესაძლოა, არც რონალდო იყოს: ვალენტინობა დღეს გაბედნიერებული რონი თურმე გუნდის ვარჯიშებზე აგვიანებს და, როგორც ესპანური სპორტული მედია გვატყობინებს, ლუშემბურგო უდისციპლინო შეგირდს ბასკებთან მოედანზე ამ მიზეზით არ გაიყვანს. ესეც რომ არა, კიჭას მარცხენა ფეხის ცერა თითი დაუშავებია...

თამაშამდე უმთავრესი ამბავი კი ისაა, რომ მიჩელ სალგადოს ვაჟი შეეძინა. ბიჭუნა მზის სინათლეს გუშინ მოევლინა. მიჩელიც ბუნებრივია, ახლა მილოცვებითაა დაკავებული და ვინძლო, ნაკლებადაც ეფეხბურთებოდეს. ხოლო ვანდერლეი ლუშემბურგო შეგირდებს ფსიქოლოგიურად ამხნევებს: „ნუ იფიქრებთ „ბარსელონაზე", იფიქრეთ მხოლოდ ამ კონკრეტულ თამაშზე, რა შეგიძლიათ გააკეთოთ".

„შარშან აქ 0:3 წავაგეთ, მაგრამ მაშინდელი თამაშით უკმაყოფილოები არ დავრჩენილვართ, რადგან უამრავი საგოლე მომენტი შევქმენით. უბრალოდ ჩინებულად მოთამაშე კასილიასს ვერ მოვუხერხეთ ვერაფერი. ახლა კი ვეცდებით, უფრო კარგი შედეგი წავიღოთ „ბერნაბეუდან" — ეს კი ბასკთა ნახევარმცველ ფრანსისკო იესტეს სიტყვებია.

იესტეს თანაგუნდელი, ანტონიო ირაოლა დასძენს: „მართალია, „რეალი" თამაშს თამაშზე იგებს, მაგრამ გულახდილად რომ ვთქვათ, ისინი უნაკლოები ნამდვილად არ არიან".

ზემოთ „ბარსელონა" ვახსენეთ და გეტყვით, რომ კატალონიელებს ექტორ კუპერის „მალიორკასთან" აუცილებლად ეყოლებიან ტრავმამოშუშებულნი, ოლეგერი და პუიოლი. ბალეარები კი დაშავებულ ბერნარდო რომეოს მოისაკლისებენ.



ხოაკინ კაპაროსის „სევილიას" „სოსიედადთან" გასვლით თამაშში დისკვალიფიცირებული აიტორ ოსიო დააკლდება. ანდალუზიელები მესამე ადგილზე არიან და, რასაკვირველია, ზღვისპირელ ბასკებთანაც პოზიციის შესანარჩუნებლად იბრძოლებენ.

**თასის ნახევარფინალის წილისყრა**

**ბეტისი — ბილბაო**

**ოსასუნა — ატლეტიკო**

*პირველი მატჩები გაიმართება 20 აპრილს, საპასუხოები — 11 მაისს*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## UEFA CUP უეფას თასი

### 1/16 ფინალი. პირველი მატჩები. გუშინ

**დინამო** (უკრაინა) 0:0 **ვილიარეალი** (ესპანეთი)

**გრაცერი** (ავსტრია) 2:2 **მიდლსბრო** (ინგლისი)

0:1 ზენდენი (52), 1:1 ბეზინა (63), 1:2 ჰასელბაინკი (66), 2:2 კოლმანი (78)

**ცსკა** (რუსეთი) 2:0 **ბენფიკა** (პორტუგალია)

1:0 ვ. ბერეზუცკი (11), 2:0 ვაგნერ ლავი (60)

**ფენერბაჰჩე** (თურქეთი) 0:1 **სარაგოსა** (ესპანეთი)

0:1 ალვარო (72)

**ალემანია** (გერმანია) 0:0 **ალკმაარი** (ჰოლანდია)

**ბაზელი** (შვეიცარია) 0:0 **ლილი** (საფრანგეთი)

**ოლიმპიაკოსი** (საბერძნეთი) 1:0 **სოშო** (საფრანგეთი)

1:0 ოკასი (29)

**ჰერენვენი** (ჰოლანდია) 1:2 **ნიუკასლი** (ინგლისი)

1:0 ჰუნტელაარი (24), 1:1 შირერი (69), 1:2 ბოიერი (82)

# ვერ გაიტან, გაგიტანენ

## ჰერენვენი გაჯორდეს



ჰერენვენი — ნიუკასლი. მასპინძელთა უბედურება ალან შირერის გოლით დაიწყო

REUTERS

**მეორე დღის** მატჩებში უფრო ნაკლები გოლი გავიდა — რისი დასტურიც მხოლოდ 11 გატანილი ბურთია.

ლისაბონის „ბენფიკამ“ ცსკა-სთან მატჩი ძალიან თამამად დაიწყო, ხოლო როდესაც შეიქმნა შთაბეჭდილება, საცაა სტუმრები გოლს გაიტანენო, არმიელებმა მაშინ იხეირეს. მოსკოველთა ერთ-ერთი კონტრშეტევა მცველმა ვასილი ბერეზუცკიმ ზუსტი დარტყმით დაასრულა.

პორტუგალიელებს პირველ ტაიმში ანგარიშის გათანაბრება რამდენჯერმე შეეძლოთ, მეორე ნახევარში კი მათ დაღლა დაეტყოთ და უპირატესობაც მასპინძლებმა იგდეს ხელთ. მე-60 წუთზე ვაგნერ ლავმა გააორა ანგარიში და თავის გუნდს მშვენიერი ფორა შეუქმნა საპასუხო მატჩის წინ.

სტამბოლში, „ფენერბაჰჩე“ მთელი შეხვედრის მანძილზე უშედეგოდ უტევდა „სარაგოსას“ კარს. აქტიურობდნენ თურქთა ფორვარდები — მარსიო ნობრე და ნიკოლა ანელკა. მათ რამდენიმე შანსიც ჰქონდათ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ესპანელებმა, რომლებიც 4-5-1 სისტემით თამაშობდნენ, ბოლომდე გაუძლეს მეტოქის იერიშებს.

მატჩის ერთადერთი გოლი „სარაგოსას“ შეტევაში ჩართულმა მცველმა ალვარომ გაიტანა, რომელსაც თავის გამოჩენა იქამდეც შეეძლო, მაგრამ მისი დარტყმული ოდნავ ასცდა მასპინძელთა კარს. თურქებს შეხვედრის დასრულებამდე 6 წუთით ადრე ანგარიშის გათანაბრების ჩინებული შესაძლებლობა მიეცით, მაგრამ გუნდის ბრაზილიელმა ლეგიონერმა ალექსმა ვერ ივარგა.

საკმაოდ მოსაწყენი იყო „გრაცერისა“ და „მიდლსბროს“ მატჩის პირველი ტაიმი. მასპინძლები მცირედ უპირატესობას ფლობდნენ და ერთი აშკარა საგოლე მომენტიც ჰქონდათ, თუმც მარკ შვარცერთან პირისპირ დარჩენილმა ბლეიდელისმა ბურთი მეკარესაც ააცილა და კარსაც.

სამაგიეროდ, მეორე ნახევარში გულშემატკივრები ნამდვილი ტრილერის მოწმენი გახდნენ: 52-ე წუთზე ბუდევეინ ზენდენმა თავისი ცაციაც მოიქნია მარჯვედ. „გრაცერმა“ კი წონასწორობის აღდგენა მალევე შეძლო, მაგრამ იქვე მასპინძელთა დაცვა კიდევ ერთხელ ჩავარდა, რასაც „ბოროს“ მეორე ჰოლანდიელი ლეგიონერის, ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკის გოლი მოჰყვა.

მიუხედავად ამისა, ავსტრიელები მაინც არ გატყდნენ და მატჩის დამთავრებამდე 11 წუთით ადრე კვლავ გაათანაბრეს ანგარიში. გოლის ავტორმა, როლანდ კოლმანმა ორ წუთში სიმულაციისთვის მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანი დატოვა.

90 წუთის განმავლობაში ამაოდ ელოდნენ გოლს კიევის „ოლიმპიურ“ სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივრები, მიუხედავად იმისა, რომ ორივე გუნდმა არაერთი სახიფათო მომენტი შექმნა.

ანგარიშის გახსნის პირველი რეალური შანსი სტუმრებს მიეცათ — მე-16 წუთზე ლუჩანო ფიგეროას ალექსანდრ შოვკოვსკის კარის დალაშქვრა შეეძლო, მაგრამ არგენტინელმა ვერ ივარგა, ხოლო კიეველთაგან საგოლე მომენტები დიოგო რინკონმა, ოლეგ გუსევმა, მილოშ ნინკოვიჩმა, მაქსიმ შაცკიხმა და მარის ვერპაკოვსკისმა გაანიავეს. რამდენიმე ეპიზოდში კი „ვილიარეალის“ მეკარემ, ხოსე მანუელ რეინამ გაიბრწყინა.

„ნიუკასლმა“ კი გამოცდილებისა და კლასის ხარჯზე მოიგო. მთელი მატჩის მანძილზე „კაჭკაჭებს“ ძირითადად მეტოქის იერიშების უკუგდება უხდებოდათ. მიუხედავად ამისა, გრემ სუნესის შეგირდებმა თავიანთი შანსები კარგად გამოიყენეს და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს.

საწყის 20 წუთში „ჰერენვენმა“ სამი ძალიან მწვავე იერიში განახორციელა, რასაც ლოგიკური გოლიც მოჰყვა: 24-ე წუთზე ჰოლანდიელთა საუკეთესო ბომბარდირმა, კლას-იან ჰუნტელაარმა იხეირა, მას გოლის გატანა კიდევ ბევრჯერ შეეძლო, მაგრამ ვერ მოახერხა.

ასეა და ფეხბურთში დაუწერელი კანონი, ვერ გაიტან, გაგიტანენო, კიდევ ერთხელ ამოქმედდა — გამოუყენებელი მომენტებისთვის „ჰერენვენი“ ჯერ ალან შირერმა დასაჯა, რომელმაც პატრიკ კლუივერტის კარგი პასის შეირგო ხოლო 82-ე წუთზე „ჯორდების“ ხულიგანმა ნახევარმცველმა ლი ბოიერმა შეხვედრას წერტილი დაუსვა.

ბოიერს ცოტა ხანში ზედმეტიც მოუვიდა, ჩვეულ სტილში იუხეშა და მეორე ყვითელი ბარათის ძალით გააგდეს

მინიმალური ანგარიშით იმარჯვა ბერძნულმა „ოლიმპიაკოსმა“. წესით, პირეოსელებს უფრო დამაჯერებლად უნდა მოეგოთ, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ შეძლეს. ერთადერთი გოლი პირველ ტაიმში იოანის ოკასმა გაიტანა.

აქტიური იყო ბრაზილიელი რივალდო, თავის გამოჩენა გეორგატოსსა და ჯორჯევიჩსაც შეეძლოთ, მაგრამ... რამდენიმე მომენტი „სოშოსაც“ ჰქონდა, თუმც მასპინძელთა კარის დარაჯი ანტონის ნიკოპოლიდისი შეუვალი იყო.

გამოსარჩევია „ოლიმპიაკოსის“ საკმაოდ დალაგებული თამაში დაცვაში, რადგანაც გუნდს სხვადასხვა მიზეზების გამო ოთხი წამყვანი მცველი აკლდა. მიუხედავად ამისა, ბერძენთა ბოსნიელმა თავკაცმა დუშან ბაევიჩმა გამოსავალი მაინც იპოვა.

„სენტ იაკობ პარკზე“ სასწაულები ჩაიდინა ფრანგული „ლილის“ სენეგალელმა გოლკიპერმა ტონი სილვამ. შეხვედრამ „ბაზელის“ დიდი უპირატესობით ჩაიარა და შვეიცარიელებს ერთი კი არა, ბევრი გოლის გატანა შეეძლოთ, მაგრამ სტუმართა კარის დარაჯმა არ ინება ასე.

სილვამ მაგარი ბურთები აუღო როსის, ზანისა და ხიმენესს, ხოლო სადაც მეკარე უძლური იყო, „ბაზელს“ უბრალოდ, არ უმართლებდა.

მატჩის ბოლო წამებზე სტუმრებს საერთოდაც მოგება შეეძლოთ. შეცვლაზე შესულ იოან კაბაიეს გოლის გატანის კარგი შანსი მიეცა, მაგრამ ვერ გამოიყენა.

უგოლოდ დაშორდნენ ერთმანეთს „ალემანია“ და „ალკმაარიც“. ამ შეხვედრაში, პირიქით, მასპინძელთა მეკარე ბრწყინავდა. ვეტერანმა შტეფან შტრაუბმა არაერთ ეპიზოდში იხსნა თავისი გუნდი გოლისგან.

ჰოლანდიელები სრულ სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ და სახიფათო მომენტიც ბევრად მეტი ჰქონდათ, მაგრამ ამის შედეგში გარდასახვა ვერ მოახერხეს.

**გიორგი ძაძამიძე**



REUTERS

ფენერბაჰჩე — სარაგოსა. თურქთა ბრაზილიელმა ალექსმა (მარჯვნივ) მატჩის ბოლოსკენ ვერ ივარგა



REUTERS

ცსკა — ბენფიკა. იური ჟირკოვმა და როლან გუსევმა მანუელ ფერნანდეში ადვილად მოიმწყვდიეს

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### ინგლისი. ჩემპიონატი

19 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 5 | უიგანი-ლიდსი | 1.75 | 3.3 | 4.3 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 18:00 | 6 | ვესტ ჰემი-პლიმუთი | 1.6 | 3.4 | 5.5 | 1.08 | 1.23 | 2.1 |
| 18:00 | 7 | მილუოლი-სტოკი | 1.85 | 3.3 | 3.8 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 18:00 | 8 | ბრაიტონი-სანდერლენდი | 3.3 | 3.3 | 2.0 | 1.64 | 1.24 | 1.24 |
| 18:00 | 9 | რედინგი-ქოვენთრი | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 18:00 | 11 | როტერჰემი-დერბი | 3.3 | 3.3 | 1.95 | 1.64 | 1.22 | 1.22 |
| 18:00 | 12 | ვულვერჰემპტონი-ჯილინგემი | 1.65 | 3.4 | 5.0 | 1.11 | 1.24 | 2.02 |

### ინგლისი. I ლიგა

19 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 16 | კოლჩესტერი-ბრისტოლი | 2.3 | 3.3 | 2.65 | 1.35 | 1.23 | 1.46 |
| 18:00 | 17 | პიტერბრო-დონკასტერი | 2.4 | 3.2 | 2.6 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 18:00 | 18 | პორტ ვეილი-ჰარტლპული | 2.5 | 3.3 | 2.45 | 1.42 | 1.23 | 1.4 |
| 18:00 | 19 | ბრედფორდი-ლუტონი | 2.7 | 3.3 | 2.25 | 1.48 | 1.22 | 1.33 |
| 18:00 | 20 | ჰადერსფილდი-ბლეკპული | 2.05 | 3.3 | 3.2 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 18:00 | 21 | ბარნსლი-ბორნმუთი | 2.25 | 3.3 | 2.8 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| 18:00 | 22 | ჩესტერფილდი-უენსდი | 2.6 | 3.3 | 2.4 | 1.45 | 1.24 | 1.38 |
| 18:00 | 23 | ოლდემი-სტოკპორტი | 1.7 | 3.4 | 4.2 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 18:00 | 24 | ტორკი-სუინდონი | 2.5 | 3.3 | 2.4 | 1.42 | 1.22 | 1.38 |
| 18:00 | 26 | ჰალი-რექსემი | 1.5 | 3.5 | 6.0 | 1.04 | 1.2 | 2.21 |
| 18:00 | 27 | უოლსოლი-დონსი | 1.7 | 3.4 | 4.5 | 1.13 | 1.23 | 1.93 |

### ინგლისი. II ლიგა

19 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 31 | ჩელტენემი-ოქსფორდი | 1.9 | 3.3 | 3.4 | 1.2 | 1.21 | 1.67 |
| 18:00 | 32 | მაკლსფილდი-როჩდეილი | 1.7 | 3.3 | 4.5 | 1.12 | 1.23 | 1.9 |
| 18:00 | 33 | ნოტსი-რაშდენი | 1.85 | 3.3 | 3.6 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 18:00 | 34 | ნორთჰემპტონი-საუთენდი | 2.0 | 3.2 | 3.3 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 18:00 | 35 | ჩესტერი-იოვილი | 2.95 | 3.3 | 2.1 | 1.55 | 1.22 | 1.28 |
| 18:00 | 36 | როვერსი-ბოსტონი | 2.15 | 3.3 | 2.95 | 1.3 | 1.24 | 1.55 |
| 18:00 | 37 | ლინკოლნი-კემბრიჯი | 1.5 | 3.5 | 6.0 | 1.04 | 1.2 | 2.21 |
| 18:00 | 38 | უიკომბი-დარლინგტონი | 2.2 | 3.3 | 2.8 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 18:00 | 39 | სუონსი-გრიმსბი | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 18:00 | 40 | შრუსბერი-კიდერმინსტერი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 18:00 | 41 | სკანთორპი-ლეიტონი | 1.65 | 3.3 | 4.8 | 1.1 | 1.22 | 1.95 |
| 18:00 | 42 | ბერი-მენსფილდი | 2.25 | 3.2 | 2.8 | 1.32 | 1.24 | 1.49 |

### ინგლისი. კონფერენსი

19 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 45 | გრეივსენდი-ტემუორთი | 2.15 | 3.2 | 3.0 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 18:00 | 46 | იორკი-უოკინგი | 2.6 | 3.2 | 2.4 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 18:00 | 47 | სტივენეიჯი-სკარბორო | 2.0 | 3.2 | 3.3 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 18:00 | 48 | აკრინგტონი-ბარნეტი | 2.6 | 3.2 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 18:00 | 49 | ჰერეფორდი-კონვი | 1.55 | 3.5 | 5.5 | 1.07 | 1.2 | 2.13 |
| 18:00 | 50 | დაგ ენდ რედი-კარლაილი | 2.45 | 3.2 | 2.5 | 1.38 | 1.23 | 1.4 |
| 18:00 | 51 | ლეი-ექსეტერი | 4.2 | 3.4 | 1.7 | 1.87 | 1.21 | 1.13 |
| 18:00 | 52 | ბარტონი-ფორესტ გრინი | 1.75 | 3.3 | 4.2 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 18:00 | 53 | ნორთვიჩი-ფარნბორო | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 18:00 | 54 | ალდერშოტი-ჰალიფაქსი | 2.0 | 3.2 | 3.3 | 1.23 | 1.24 | 1.62 |

21 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 55 | ქროული-მორიკომბი | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა

19 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 56 | ჰიბერნიანი-დანდი | 1.55 | 3.5 | 5.0 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 18:00 | 57 | კილმარნოკი-დანფერმლაინი | 1.85 | 3.2 | 4.0 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 18:00 | 58 | მოსერუელი-ჰარტსი | 2.6 | 3.2 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 18:00 | 59 | დანდი იუნაიტედი-ინვერნესი | 2.2 | 3.2 | 2.85 | 1.3 | 1.24 | 1.5 |
| 18:00 | 60 | აბერდინი-ლივინგსტონი | 1.55 | 3.5 | 5.0 | 1.07 | 1.18 | 2.05 |

20 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:30 | 61 | სელტიკი-რეინჯერსი | 2.15 | 3.2 | 2.9 | 1.28 | 1.23 | 1.52 |

### შოტლანდია. I დივიზიონი

19 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 62 | ქუინი-ფოლკირკი | 3.7 | 3.6 | 1.75 | 1.82 | 1.18 | 1.17 |
| 18:00 | 63 | ჰამილტონი-პარტიკი | 2.3 | 3.5 | 2.45 | 1.38 | 1.18 | 1.44 |
| 18:00 | 64 | ეირდრი-რეითი | 1.5 | 3.8 | 5.0 | 1.07 | 1.15 | 2.15 |
| 18:00 | 65 | კლაიდი-როსი | 1.7 | 3.5 | 4.0 | 1.14 | 1.19 | 1.86 |
| 18:00 | 66 | სტ.მირენი-სტ.ჯონსტონი | 2.2 | 3.5 | 2.6 | 1.35 | 1.19 | 1.49 |

### შოტლანდია. II დივიზიონი

19 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 67 | სტირლინგი-ალოა | 1.85 | 3.5 | 3.4 | 1.21 | 1.19 | 1.72 |
| 18:00 | 68 | ფორფარი-არბროთი | 2.3 | 3.5 | 2.5 | 1.38 | 1.19 | 1.45 |
| 18:00 | 69 | სტრანრარი-ეარი | 1.6 | 3.6 | 4.5 | 1.1 | 1.18 | 2.0 |
| 18:00 | 70 | ბერიკი-ბრეჩინი | 4.5 | 3.8 | 1.55 | 2.06 | 1.15 | 1.1 |
| 18:00 | 71 | დამბარტონი-მორტონი | 2.75 | 3.5 | 2.1 | 1.53 | 1.19 | 1.31 |

### შოტლანდია. III დივიზიონი

19 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 72 | ქუინს პარკი-ალბიონი | 1.7 | 3.5 | 4.0 | 1.14 | 1.19 | 1.86 |
| 18:00 | 73 | ისტ ფაიფი-კოუდენბითი | 2.6 | 3.4 | 2.25 | 1.47 | 1.2 | 1.35 |
| 18:00 | 74 | სტენჰაუსმური-ისტ სტირლინგი | 1.5 | 4.0 | 4.6 | 1.09 | 1.13 | 2.13 |
| 18:00 | 75 | პიტერჰედი-ელგინი | 1.3 | 4.5 | 7.0 | 1.0 | 1.09 | 2.73 |
| 18:00 | 76 | გრეტნა-მონტროუზი | 1.15 | 6.5 | 10.0 | 1.0 | 1.03 | 3.93 |

### გერმანია. I ბუნდესლიგა

19 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 77 | ნიურნბერგი-ლევერკუზენი | 2.9 | 3.3 | 2.25 | 1.54 | 1.26 | 1.33 |
| 17:30 | 78 | მაინცი-არმინია | 2.35 | 3.25 | 2.8 | 1.36 | 1.27 | 1.5 |
| 17:30 | 79 | ბაიერნი-დორტმუნდი | 1.5 | 3.7 | 6.4 | 1.06 | 1.21 | 2.34 |
| 17:30 | 80 | ბაიერნი-დორტმუნდი0:1 | 2.2 | 3.8 | 1.95 | | | |
| 17:30 | 81 | ბოხუმი-ფრაიბურგი | 1.75 | 3.3 | 4.6 | 1.14 | 1.26 | 1.92 |
| 17:30 | 82 | ვოლფსბურგი-ჰანზა | 1.65 | 3.55 | 4.9 | 1.12 | 1.23 | 2.05 |
| 17:30 | 83 | ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1.7 | 3.35 | 4.85 | 1.12 | 1.25 | 1.98 |
| 17:30 | 84 | ჰანოვერი-ვერდერი | 3.3 | 3.3 | 2.05 | 1.64 | 1.26 | 1.26 |

20 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 85 | მიონხენგლადბახი-შალკე | 2.6 | 3.3 | 2.45 | 1.45 | 1.26 | 1.4 |
| 19:30 | 86 | შტუტგარტი-ჰერტა | 2.05 | 3.3 | 3.3 | 1.26 | 1.26 | 1.64 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა

20 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 91 | ერფურტი-ფიურტი | 2.9 | 3.2 | 2.2 | 1.52 | 1.25 | 1.3 |
| 17:00 | 92 | ბურგჰაუზენი-ობერჰაუზენი | 1.85 | 3.2 | 3.9 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| 17:00 | 93 | აინტრახტი-საარბრიუკენი | 1.7 | 3.3 | 4.6 | 1.12 | 1.24 | 1.92 |
| 17:00 | 94 | აუე-უნტერჰახინგი | 1.85 | 3.3 | 3.9 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| 17:00 | 95 | კიოლნი-ალემანია | 1.7 | 3.3 | 4.8 | 1.12 | 1.25 | 1.95 |

21 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:15 | 96 | დუისბურგი-მიუნხენი 1860 | 1.7 | 3.2 | 4.5 | 1.11 | 1.23 | 1.87 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)

19 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:00 | 98 | ლიუბეკი-ბრაუნშვაიგი | 2.15 | 3.3 | 2.8 | 1.3 | 1.21 | 1.51 |
| 16:00 | 100 | დორტმუნდი(მ)-უერდინგენი | 2.15 | 3.3 | 2.85 | 1.3 | 1.22 | 1.52 |
| 16:00 | 101 | ქემნიცი-მიუნსტერი | 2.05 | 3.3 | 3.1 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 16:00 | 102 | დიუსელდორფი-ვოლფსბურგი(მ) | 1.65 | 3.5 | 4.2 | 1.12 | 1.18 | 1.9 |
| 16:00 | 103 | პადერბორნი-ვუპერტალი | 1.6 | 3.5 | 4.5 | 1.09 | 1.18 | 1.96 |

20 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:00 | 104 | ჰამბურგი(მ)-ოსნაბრიუკი | 2.55 | 3.3 | 2.35 | 1.43 | 1.22 | 1.37 |
| 16:00 | 105 | არმინია(მ)-ჰერტა(მ) | 2.35 | 3.2 | 2.55 | 1.35 | 1.22 | 1.41 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)

19 თებერვალი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:30 | 109 | რეგენსბურგი-მიუნხენი(მ) | 1.75 | 3.4 | 3.8 | 1.15 | 1.19 | 1.79 |
| 16:30 | 110 | დარმშტადტი-ფიულენდორფი | 1.65 | 3.5 | 4.2 | 1.12 | 1.18 | 1.9 |
| 16:30 | 111 | ჰოფენჰაიმი-ვეენი | 1.75 | 3.4 | 3.8 | 1.15 | 1.19 | 1.79 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 17:00 | 113 | ნოტინგენი-ოფენბახი | 4.3 | 3.4 | 1.65 | 1.89 | 1.19 | 1.11 |
| 17:00 | 114 | ბაიერნი(მ)-აუგსბურგი | 1.85 | 3.4 | 3.5 | 1.19 | 1.21 | 1.72 |

### ავსტრია. ბუნდესლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **19 თებერვალი** | | | | | | |
| 20:30 | 115 | ტიროლი-ბრეგენცი | 1.6 | 3.4 | 5.0 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 20:30 | 116 | ადმირა-რაპიდი | 4.0 | 3.3 | 1.8 | 1.8 | 1.24 | 1.16 |
| 20:30 | 117 | შტურმი-ზალცბურგი | 1.9 | 3.2 | 3.6 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 20:30 | 118 | პაშინგი-მატერსბურგი | 1.5 | 3.7 | 5.5 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 17:30 | 119 | აუსტრია-გრაცერი | 1.8 | 3.2 | 4.0 | 1.15 | 1.24 | 1.77 |

### შვეიცარია. სუპერლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 15:30 | 120 | იანგ ბოისი-თუნი | 2.0 | 3.2 | 3.3 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 16:15 | 121 | სტ.გალენი-ბაზელი | 3.5 | 3.2 | 1.95 | 1.67 | 1.25 | 1.21 |
| 16:30 | 122 | აარაუ-ქსამაქსი | 2.2 | 3.1 | 3.0 | 1.28 | 1.26 | 1.52 |
| 18:15 | 124 | ციურიხი-შაფჰაუზენი | 1.6 | 3.4 | 5.0 | 1.08 | 1.21 | 2.02 |

### შვეიცარია. ჩელენჯლიგა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **19 თებერვალი** | | | | | | |
| 17:00 | 126 | ბიოლმი-სიონი | 2.55 | 3.1 | 2.45 | 1.39 | 1.24 | 1.36 |
| 19:30 | 127 | მეირინი-ვადუცი | 3.3 | 3.2 | 1.95 | 1.62 | 1.22 | 1.21 |
| 19:30 | 128 | ვოლენი-ვილი | 2.0 | 3.2 | 3.3 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 16:30 | 129 | ვინტერთური-ივერდონი | 3.1 | 3.2 | 2.05 | 1.57 | 1.23 | 1.24 |
| 16:30 | 130 | ბელინცონა-ბულე | 1.6 | 3.5 | 4.8 | 1.09 | 1.2 | 2.02 |
| 16:30 | 131 | ბადენი-კიასო | 4.5 | 3.5 | 1.6 | 1.96 | 1.18 | 1.09 |
| 16:30 | 132 | კრიენსი-კონკორდია | 1.95 | 3.2 | 3.4 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 16:30 | 133 | შო დე ფონი-ლუცერნი | 3.0 | 3.2 | 2.1 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 16:30 | 134 | იუვენტუსი-ლუგანო | 2.8 | 3.1 | 2.3 | 1.47 | 1.26 | 1.32 |

### იტალია. სერია A

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **19 თებერვალი** | | | | | | |
| 20:00 | 135 | მესინა-იუვენტუსი | 5.2 | 3.2 | 1.7 | 1.98 | 1.28 | 1.11 |
| 22:30 | 136 | მილანი-კალიარი | 1.3 | 4.5 | 9.5 | 1.0 | 1.14 | 3.05 |
| 22:30 | 137 | მილანი-კალიარი0:1 | 1.7 | 3.3 | 3.5 | | | |
| 22:30 | 138 | უდინეზე-ინტერი | 3.3 | 3.0 | 2.2 | 1.57 | 1.32 | 1.26 |
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 17:00 | 139 | სიენა-ფიორენტინა | 2.3 | 2.8 | 3.3 | 1.26 | 1.35 | 1.51 |
| 17:00 | 140 | კიევო-ლაციო | 2.3 | 2.9 | 3.2 | 1.28 | 1.33 | 1.52 |
| 17:00 | 141 | პალერმო-ლეჩე | 1.75 | 3.2 | 4.8 | 1.13 | 1.28 | 1.91 |
| 17:00 | 142 | რომა-ლივორნო | 1.45 | 3.8 | 7.1 | 1.04 | 1.2 | 2.47 |
| 17:00 | 143 | სამპდორია-რეჯინა | 1.8 | 3.0 | 4.9 | 1.12 | 1.31 | 1.86 |
| 17:00 | 144 | ატალანტა-ბოლონია | 2.85 | 3.0 | 2.45 | 1.46 | 1.31 | 1.34 |
| 17:00 | 145 | პარმა-ბრეშა | 1.85 | 3.0 | 4.6 | 1.14 | 1.31 | 1.81 |

### იტალია. სერია B

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 17:00 | 148 | ემპოლი-პიაჩენცა | 1.7 | 3.0 | 5.0 | 1.08 | 1.26 | 1.87 |
| 17:00 | 149 | ასკოლი-კატანია | 1.9 | 2.8 | 4.0 | 1.13 | 1.28 | 1.64 |
| 17:00 | 150 | ტორინო-კროტონე | 1.4 | 3.6 | 8.0 | 1.0 | 1.19 | 2.48 |
| 17:00 | 151 | არეცო-ტერნანა | 2.1 | 2.7 | 3.7 | 1.18 | 1.33 | 1.56 |
| 17:00 | 152 | ტრევიზო-ტრიესტინა | 1.7 | 3.0 | 5.0 | 1.08 | 1.26 | 1.87 |
| 17:00 | 153 | ჩესენა-ვენეცია | 1.75 | 2.9 | 5.0 | 1.09 | 1.29 | 1.83 |
| 17:00 | 154 | ბარი-ვერონა | 2.3 | 2.8 | 3.2 | 1.26 | 1.33 | 1.49 |
| 17:00 | 155 | კატანძარო-ალბინოლეფე | 2.15 | 2.9 | 3.3 | 1.23 | 1.3 | 1.54 |
| 22:45 | 156 | ვიჩენცა-ჯენოა | 2.55 | 2.7 | 2.8 | 1.31 | 1.33 | 1.37 |
| | | **21 თებერვალი** | | | | | | |
| 22:45 | 157 | პერუჯა-სალერნიტანა | 1.65 | 3.1 | 5.5 | 1.07 | 1.26 | 1.98 |

### იტალია. სერია C1/A

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 16:30 | 168 | პისტოიეზე-სპეცია | 2.2 | 2.6 | 3.6 | 1.19 | 1.36 | 1.5 |
| 16:30 | 169 | ნოვარა-ტორესი | 1.85 | 2.7 | 4.7 | 1.09 | 1.32 | 1.71 |
| 16:30 | 170 | კრემონეზე-ლუმეცანე | 1.5 | 3.2 | 7.5 | 1.02 | 1.25 | 2.24 |
| 16:30 | 171 | ლუკეზე-პავია | 2.7 | 2.6 | 2.75 | 1.32 | 1.36 | 1.33 |
| 16:30 | 172 | პრატო-ფ.ანდრია | 2.55 | 2.7 | 2.85 | 1.31 | 1.34 | 1.38 |
| 16:30 | 173 | ვიტორია-მანტოვა | 2.65 | 2.6 | 2.8 | 1.31 | 1.36 | 1.34 |
| 16:30 | 174 | სანჯოვანეზე-პიზა | 2.05 | 2.6 | 4.0 | 1.14 | 1.35 | 1.57 |
| 16:30 | 175 | კომო-გჯირეალე | 2.05 | 2.6 | 4.0 | 1.14 | 1.35 | 1.57 |
| | | **21 თებერვალი** | | | | | | |
| 22:30 | 167 | გროსეტო-პრო პატრია | 1.6 | 3.0 | 6.5 | 1.04 | 1.28 | 2.05 |

### იტალია. სერია C1/B

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 16:30 | 176 | აველინო-ფოჯა | 1.45 | 3.5 | 7.0 | 1.02 | 1.2 | 2.33 |
| 16:30 | 361 | კიეტი-ჩიტადელა | 2.05 | 2.6 | 4.0 | 1.14 | 1.35 | [illegible] |
| 16:30 | 362 | ტერამო-რიმინი | 2.9 | 2.6 | 2.6 | 1.37 | [illegible] | 1.29 |

### ესპანეთი. I დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **19 თებერვალი** | | | | | | |
| 22:00 | 177 | რეალი-ბილბაო | 1.45 | 4.0 | 6.5 | 1.06 | 1.18 | 2.47 |
| 22:00 | 178 | რეალი-ბილბაო0:1 | 1.9 | 3.75 | 2.3 | | | |
| 22:00 | 182 | ბარსელონა-მალიორკა | 1.2 | 5.2 | 15.0 | 1.0 | 1.11 | 3.86 |
| 22:00 | 183 | ბარსელონა-მალიორკა0:1 | 1.6 | 3.8 | 3.0 | | | |
| 23:45 | 186 | სოსიედადი-სევილია | 2.45 | 3.3 | 2.6 | 1.4 | 1.26 | 1.45 |
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 23:00 | 179 | ვილიარეალი-ატლეტიკო | 1.9 | 3.3 | 3.8 | 1.2 | 1.26 | 1.76 |
| 19:00 | 180 | მალაგა-ესპანიოლი | 2.45 | 3.35 | 2.6 | 1.41 | 1.26 | 1.46 |
| 19:00 | 181 | ბეტისი-დეპორტივო | 2.15 | 3.1 | 3.25 | 1.26 | 1.29 | 1.58 |
| 19:00 | 184 | ალბასეტე-ნუმანსია | 1.65 | 3.4 | 5.2 | 1.11 | 1.25 | 2.05 |
| 19:00 | 185 | ხეტაფე-ოსასუნა | 2.05 | 3.3 | 3.3 | 1.26 | 1.26 | 1.64 |
| 21:00 | 187 | რასინგი-ვალენსია | 3.2 | 3.2 | 2.15 | 1.6 | 1.28 | 1.28 |
| 19:00 | 188 | ლევანტე-სარაგოსა | 2.15 | 3.3 | 3.1 | 1.3 | 1.26 | 1.59 |

### ესპანეთი. II დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **19 თებერვალი** | | | | | | |
| 20:30 | 193 | ტერასა-ელჩე | 2.5 | 2.7 | 2.9 | 1.29 | 1.34 | 1.39 |
| 20:30 | 194 | ალმერია-მალაგა ბ | 2.35 | 2.7 | 3.1 | 1.25 | 1.33 | 1.44 |
| 21:00 | 198 | სიუდადი-ტენერიფე | 2.4 | 2.6 | 3.2 | 1.24 | 1.37 | 1.43 |
| 20:30 | 199 | პონტევედრა-ვალიადოლიდი | 4.05 | 2.8 | 1.95 | 1.65 | 1.31 | 1.14 |
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 19:00 | 189 | ტარაგონა-კადისი | 2.7 | 2.7 | 2.65 | 1.35 | 1.33 | 4.33 |
| 19:00 | 190 | უელვა-სელტა | 2.45 | 2.6 | 3.1 | 1.26 | 1.36 | 1.41 |
| 20:00 | 191 | სერესი-კორდობა | 1.75 | 3.0 | 4.8 | 1.1 | 1.28 | 1.84 |
| 19:00 | 192 | ეიბარი-ეხიდო | 1.7 | 3.0 | 5.0 | 1.08 | 1.26 | 1.87 |
| 19:00 | 195 | ალავესი-მურსია | 1.65 | 3.0 | 5.8 | 1.06 | 1.28 | 1.97 |
| 14:00 | 196 | სპორტინგი-ფეროლი | 2.3 | 2.7 | 3.2 | 1.24 | 1.33 | 1.46 |
| 19:00 | 197 | ლეიდა-სალამანკა | 2.0 | 2.8 | 3.9 | 1.16 | 1.32 | 1.62 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **19 თებერვალი** | | | | | | |
| 19:15 | 202 | სტრასბური-პსჟ | 2.6 | 2.9 | 2.75 | 1.37 | 1.33 | 1.41 |
| 22:00 | 203 | ტულუზი-ბორდო | 2.2 | 2.75 | 3.65 | 1.22 | 1.37 | 1.56 |
| 22:00 | 204 | კაენი-აიაჩო | 2.1 | 2.9 | 3.7 | 1.21 | 1.33 | 1.62 |
| 22:00 | 205 | ბასტია-მარსელი | 3.2 | 2.9 | 2.3 | 1.52 | 1.33 | 1.28 |
| 22:00 | 206 | ლანსი-ნანტი | 2.0 | 2.9 | 4.05 | 1.18 | 1.33 | 1.68 |
| 22:00 | 207 | რენი-ნიცა | 1.85 | 3.0 | 4.6 | 1.14 | 1.31 | 1.81 |
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 20:00 | 208 | ისტრი-ოსერი | 3.55 | 3.1 | 2.05 | 1.65 | 1.29 | 1.23 |
| 20:00 | 210 | მეცი-ლილი | 2.75 | 2.9 | 2.6 | 1.41 | 1.33 | 1.37 |
| 20:00 | 211 | სტ.ეტიენი-სოშო | 2.2 | 2.8 | 3.55 | 1.23 | 1.35 | 1.56 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 21:15 | 222 | ლორიანი-ნანსი | 2.7 | 2.8 | 2.6 | 1.37 | 1.32 | 1.34 |
| | | **21 თებერვალი** | | | | | | |
| 22:15 | 223 | ბრესტი-ლე მანი | 2.4 | 2.9 | 2.85 | 1.31 | 1.3 | 1.43 |

### ბელგია. I დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **19 თებერვალი** | | | | | | |
| 22:00 | 225 | გენტი-ბევერენი | 1.7 | 3.5 | 4.5 | 1.14 | 1.23 | 1.96 |
| 22:00 | 226 | მუსკრონი-ლუვიე | 2.3 | 3.3 | 2.75 | 1.35 | 1.25 | 1.5 |
| 22:00 | 227 | შარლერუა-მონსი | 1.65 | 3.5 | 4.5 | 1.12 | 1.2 | 1.96 |
| 22:00 | 228 | ოსტენდე-სტ.ტრუიდენი | 2.2 | 3.4 | 2.8 | 1.33 | 1.23 | 1.53 |
| 22:00 | 229 | ლოკერენი-სტანდარდი | 2.7 | 3.3 | 2.3 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| 22:00 | 230 | გენკი-ვესტერლო | 1.45 | 4.0 | 6.0 | 1.06 | 1.16 | 2.4 |
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 17:00 | 231 | ბრიუსელი-ბეერსხოტი | 2.3 | 3.4 | 2.6 | 1.37 | 1.22 | 1.47 |
| 22:00 | 232 | სერკლი-ბრიუგე | 7.5 | 4.5 | 1.3 | 2.81 | 1.1 | 1.0 |
| 22:00 | 233 | სერკლი-ბრიუგე1:0 | 2.3 | 3.9 | 1.85 | | | |

### ბელგია. II დივიზიონი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **19 თებერვალი** | | | | | | |
| 21:30 | 234 | გეელი-ეუპენი | 1.7 | 3.3 | 4.3 | 1.12 | 1.21 | 1.86 |
| 22:00 | 235 | ანტვერპენი-ვიგორი | 1.6 | 3.6 | 4.5 | 1.1 | 1.18 | 2.0 |
| 22:00 | 236 | ვაასლანდი-კორტრაიკი | 1.7 | 3.3 | 4.2 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 22:00 | 237 | ვირტონი-რონსე | 2.3 | 3.2 | 2.6 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 22:00 | 238 | პატრო-ვისეტი | 1.8 | 3.2 | 3.9 | 1.15 | 1.23 | 1.75 |
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 17:00 | 239 | რუსელარე-ტუბეკე | 1.9 | 3.2 | 3.5 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 17:00 | 240 | ვარეგემი-ჰეუსდენი | 1.7 | 3.3 | 4.2 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 17:00 | 241 | სტ.ჟილი-დაინცე | 2.4 | 3.2 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 17:00 | 242 | აალსტი-დესელი | 2.3 | 3.2 | 2.65 | 1.33 | 1.23 | 1.44 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი

**19 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 244 | პსვ-ნაიმეგენი | 1.15 | 5.8 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 3.91 |
| 21:30 | 245 | პსვ-ნაიმეგენი0:1 | 1.4 | 4.4 | 3.5 | | | |
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 14:30 | 246 | უტრეხტი-ფეიენოორდი | 2.85 | 3.2 | 2.25 | 1.5 | 1.25 | 1.32 |
| 16:30 | 247 | გრააფსხაპი-ჰერენვენი | 3.5 | 3.3 | 1.95 | 1.69 | 1.25 | 1.22 |
| 16:30 | 248 | ვალვაიკი-ბრედა | 2.0 | 3.2 | 3.4 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 16:30 | 249 | აიაქსი-დენ ბოსხი | 1.1 | 8.0 | 12.0 | 1.0 | 1.0 | 4.8 |
| 16:30 | 250 | აიაქსი-დენ ბოსხი0:1 | 1.25 | 4.6 | 4.3 | | | |
| 16:30 | 251 | ვიტესი-დენ ჰააგი | 1.5 | 3.8 | 5.8 | 1.07 | 1.19 | 2.29 |
| 16:30 | 252 | ალკმაარი-როდა | 1.5 | 3.7 | 5.5 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| 16:30 | 253 | გრონინგენი-ტვენტე | 2.25 | 3.3 | 2.9 | 1.33 | 1.26 | 1.54 |

### პორტუგალია. სუპერლიგა

**19 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 263 | ლეირია-სპორტინგი | 3.6 | 3.2 | 1.95 | 1.69 | 1.26 | 1.21 |
| 19:00 | 264 | ჟილ ვისენტე-აკადემიკა | 1.65 | 3.4 | 4.5 | 1.11 | 1.2 | 1.93 |
| 18:00 | 265 | მარიტიმუ-ბეირა მარი | 1.55 | 3.45 | 6.0 | 1.06 | 1.23 | 2.19 |
| 21:45 | 266 | რიუ ავე-ბოავიშტა | 2.45 | 3.3 | 2.55 | 1.4 | 1.24 | 1.43 |
| 19:00 | 269 | სეტუბალი-მორეირენსე | 1.65 | 3.4 | 4.5 | 1.11 | 1.2 | 1.93 |
| 19:00 | 270 | ეშტორილი-პენაფიელი | 2.05 | 3.2 | 3.3 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| | | **21 თებერვალი** | | | | | | |
| 23:30 | 268 | ბენფიკა-გიმარაეში | 1.45 | 3.8 | 6.0 | 1.04 | 1.16 | 2.32 |

### პორტუგალია. I დივიზიონი

**19 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 272 | ამადორა-ალვერკა | 1.4 | 3.8 | 6.5 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| 20:00 | 273 | მაია-შავეში | 1.75 | 3.2 | 4.0 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 19:00 | 274 | ლეიშოეში-მარკუ | 2.35 | 3.1 | 2.6 | 1.33 | 1.23 | 1.41 |
| 19:00 | 275 | პორტიმონენსე-ფელგეირაში | 1.55 | 3.5 | 5.0 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 18:00 | 276 | ფეირენსე-გონდომარი | 1.75 | 3.3 | 4.0 | 1.14 | 1.21 | 1.8 |
| 20:00 | 277 | სანტა კლარა-ოვარენსე | 2.05 | 3.1 | 3.2 | 1.23 | 1.24 | 1.57 |
| 18:30 | 278 | ნავალი-ესპინიუ | 1.55 | 3.4 | 5.8 | 1.06 | 1.22 | 2.14 |
| 18:00 | 279 | ავეში-ვარზიმი | 1.7 | 3.2 | 4.5 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| 19:00 | 280 | ფერეირა-ოლიანენსე | 1.55 | 3.3 | 5.5 | 1.05 | 1.2 | 2.06 |

### საბერძნეთი

**19 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:45 | 281 | ქსანთი-კალამარია | 1.35 | 4.1 | 8.0 | 1.01 | 1.15 | 2.71 |
| 20:30 | 285 | აეკ-ირაკლისი | 1.35 | 4.0 | 8.0 | 1.0 | 1.15 | 2.66 |
| 17:00 | 287 | კერკირა-იონიკოსი | 2.2 | 3.0 | 3.05 | 1.26 | 1.27 | 1.51 |
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 17:30 | 282 | ერგოტელისი-ოლიმპიაკოსი | 8.0 | 4.3 | 1.3 | 2.79 | 1.11 | 1.0 |
| 20:30 | 283 | ეგალეო-პანათინაიკოსი | 4.5 | 3.2 | 1.7 | 1.87 | 1.23 | 1.11 |
| 17:45 | 284 | პანიონიოსი-ოფი | 1.9 | 3.2 | 3.7 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 17:30 | 286 | პაოკ-კალითეა | 1.55 | 3.5 | 5.5 | 1.07 | 1.2 | 2.13 |
| 20:00 | 288 | ხალკიდონა-არისი | 2.05 | 2.9 | 3.5 | 1.2 | 1.29 | 1.58 |

### თურქეთი

**19 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 290 | ისთანბული-კონია | 2.4 | 3.2 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 15:00 | 291 | სებათი-ანკარაგიუჯუ | 2.55 | 3.2 | 2.5 | 1.41 | 1.26 | 1.4 |
| 17:00 | 292 | დენიზლი-ანკარა | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 20:00 | 293 | გალათასარაი-საკარია | 1.1 | 7.0 | 15.0 | 1.0 | 1.02 | 4.77 |
| 20:00 | 294 | გალათასარაი-საკარია | 1.3 | 4.5 | 4.2 | | | |
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 15:00 | 295 | სამსუნი-რიზე | 2.15 | 3.3 | 3.0 | 1.3 | 1.25 | 1.57 |
| 15:00 | 296 | მალათია-დიარბაქირი | 1.7 | 3.4 | 4.6 | 1.13 | 1.24 | 1.95 |
| 17:00 | 297 | გენჩლერბირლიგი-ტრაბზონი | 4.0 | 3.3 | 1.8 | 1.8 | 1.24 | 1.16 |
| 20:00 | 298 | ფენერბაჩე-კაისერი | 1.1 | 7.0 | 15.0 | 1.0 | 1.02 | 4.77 |
| 20:00 | 299 | ფენერბაჩე-კაისერი | 1.3 | 4.5 | 4.2 | | | |

### მექსიკა

**19 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 300 | მონტერეი-ამერიკა | 2.1 | 3.1 | 3.2 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 23:45 | 301 | ხაგუარესი-სანტოსი | 2.3 | 3.2 | 2.7 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 23:45 | 302 | ჩივასი-კრუს ასული | 2.35 | 3.2 | 2.6 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 23:45 | 304 | ნეკახა-დორადოსი | 1.95 | 3.2 | 3.3 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 23:45 | 306 | პაჩუკა-ტოლუკა | 2.35 | 3.0 | 2.7 | 1.31 | 1.25 | 1.42 |
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 303 | მორელია-ატლასი | 1.55 | 3.5 | 5.0 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 21:00 | 305 | პუმასი-ტიგრესი | 1.9 | 3.2 | 3.4 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 23:00 | 307 | ატლანტე-ვერაკრუსი | 1.95 | 3.2 | 3.4 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 23:00 | 308 | პუებლა-ტეკოსი | 2.1 | 3.2 | 3.1 | 1.26 | 1.25 | 1.57 |

### არგენტინა

**19 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 313 | ლანუსი-ხიმნასია | 1.75 | 3.2 | 4.0 | 1.13 | 1.21 | 1.77 |
| 23:45 | 315 | ალმაგრო-ინდეპენდიენტე | 2.4 | 3.1 | 2.6 | 1.35 | 1.24 | 1.41 |
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 23:00 | 309 | ინსტიტუტო-არგენტინოს ხუნიორსი | 2.15 | 3.0 | 3.1 | 1.25 | 1.26 | 1.52 |
| 23:45 | 310 | რივერ პლეიტი-ბანფილდი | 1.4 | 3.6 | 7.0 | 1.0 | 1.16 | 2.37 |
| 23:00 | 311 | სან ლორენსო-ბოკა ხუნიორსი | 2.15 | 3.0 | 3.0 | 1.25 | 1.25 | 1.5 |
| 23:00 | 312 | ესტუდიანტესი-კოლონი | 1.8 | 3.2 | 3.8 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 23:00 | 314 | არსენალი-ურაკანი | 1.6 | 3.4 | 4.8 | 1.08 | 1.2 | 1.99 |
| 23:00 | 317 | ნიუელსი-როსარიო | 1.95 | 3.2 | 3.3 | 1.21 | 1.22 | 1.62 |

### ინგლისი. თასი

**19 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 337 | ჩარლტონი-ლესტერი | 1.5 | 3.6 | 6.0 | 1.05 | 1.2 | 2.25 |
| 20:30 | 338 | ევერტონი-მანჩესტერი | 4.0 | 3.2 | 1.85 | 1.77 | 1.26 | 1.17 |
| 15:30 | 357 | არსენალი-შეფილდი | 1.2 | 5.5 | 10.0 | 1.0 | 1.07 | 3.54 |
| 18:00 | 358 | ბოლტონი-ფულემი | 1.8 | 3.2 | 4.0 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 18:00 | 359 | საუთჰემპტონი-ბრენტფორდი | 1.35 | 4.2 | 8.0 | 1.02 | 1.15 | 2.75 |
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 16:40 | 335 | ბარნლი-ბლექბერნი | 3.0 | 3.2 | 2.15 | 1.54 | 1.25 | 1.28 |
| 19:00 | 336 | ნიუკასლი-ჩელსი | 4.0 | 3.2 | 1.8 | 1.77 | 1.24 | 1.15 |
| 18:00 | 360 | ტოტენჰემი-ნოტინგემი | 1.3 | 4.5 | 8.5 | 1.0 | 1.12 | 2.94 |

### ჰოკეი. შვედეთი

**19 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 406 | სოდერტელიე-მალმიო | 1.4 | 4.5 | 4.0 | 1.06 | 1.03 | 2.11 |
| 17:00 | 407 | მოდო-იურგორდენი | 1.75 | 4.4 | 2.8 | 1.25 | 1.07 | 1.71 |
| 17:00 | 409 | ბრიუნესი-ტიმრე | 2.5 | 4.5 | 1.8 | 1.6 | 1.04 | 1.28 |
| 17:00 | 410 | ფროლუნდა-ფერიესტადი | 1.7 | 4.5 | 2.55 | 1.23 | 1.01 | 1.62 |
| 17:00 | 411 | ჰვ 71-მორა | 1.5 | 4.5 | 3.5 | 1.12 | 1.04 | 1.96 |

### ჰოკეი. ფინეთი

**19 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 428 | პელიკანსი-ილვესი | 4.0 | 4.4 | 1.45 | 2.09 | 1.06 | 1.09 |
| 18:00 | 429 | იუველსიულე-ლუკო | 2.05 | 4.2 | 2.25 | 1.37 | 1.07 | 1.46 |
| 18:00 | 430 | ესეტი-სეიპა | 1.45 | 4.5 | 4.0 | 1.09 | 1.06 | 2.11 |
| 18:00 | 431 | ჰელსინკი-კერპეტი | 2.1 | 4.2 | 2.2 | 1.39 | 1.07 | 1.44 |
